# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 183 ოთხშაბათი, 19 აგვისტო 1909 წ. № 183

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ქ. ოზურგეთში — ზემო ბაღში

[illegible]ირას, 23 მარიამობისთვეს ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ

● გაიმართება დიდი სახალხო ●

## სეირნობა

შემდეგი პროგრამით: დაუკრავს სამხედრო მუზიკა, ზურნა, გრამოფონი, [მა]ნდოლინისტთა ორკესტრი, იმღერებენ ქართულად და რუსულად, ითამაშე[ბე]ნ ლეკურს, წაიკითხავენ ლექსებს, ჰაერში გაუშვებენ მაშხალებს, ბურ[თ]ებს (შარებს) და სროლა ნიშანში, ჭიდაობა, რგოლების ჩამოცმევა, ლატარეია ალეგრი, ბაზარი, ბოჩკა-იღბალი, „პტი-შვო", ცხენების ჯირითობა, [ფოსტ]ა ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მეოცე საუკუნის აფთიაქი, [ყ]ომფეტები, ყვავილები, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრობს, საჩუქრად მიიღებს მამალს. [ლ]ოტორეიაში ჩაგდებულია ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგ[ირ]ით, სამოვარი, საათი, გიტარა და სხვა. მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტ[რ]ამარკები, რომლებიც ვსთხოვთ მისცენ ულამაზეს მოსეირნეთა შორის. ვინც [ყვე]ლაზე მეტ კონტრამარკას მიიღებს, საჩუქრად მიეცემა ოქროს ჟეტონი. [უ]ლამაზეს ქალს ირჩევენ კაცები,—კაცს—ქალები. ◆ შემოწირულება მიიღება ექიმ ტიტიკო ერისთავის სახელზე. ბაღში შესასვლელი 20 კ. ბავშვე[ბ]ის 10 კაპ. (1—უ.—1)

მიხაილოვის მეორე ხარისხის კერძო სასწავლებლის

## გამგეობა

აცხადებს, რომ თხოვნები მიიღება 20 მარიამობისთვემდის გამგეო[ბ]ის სახელზე; ეგზამენები დაიწყება 20 მარიამობისთვეში ყველა კლასში, [ლ]ოუწოვის სახლში.

სწავლის ქირა იგივე რჩება, მხოლოდ განაწილებული იქნება ორად: [პ]ირველი ნაწილი უნდა გადაიხადონ არა უგვიანესს პირველ ოქტომბრისა, მეორე—პირველ თებერვლისა. (5—ხალ.—5)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს, არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ, Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе.(0—31)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

[ი]ღებს შინაგან და სპეციალურად ვენე[რ]იულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნა[ქ]ი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის [და] თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, [დ]ილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაო[ბ]ით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., ხა[ზ]ლი ფირალოვისა (70—კვ.—40)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყო[ფ]ებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. [ს]ოროხნო, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში [ს]ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხლ[ო]ხის ქუჩაზე, თოფურიანცულ საავადმყო[ფ]ოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და [ქა]ლთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით [9]—11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—44)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი. კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხე[ლო]ვნური კბილები. ავადმყ. მიღება დი[ლ]ის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეი[ლ]ის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, [N] 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—5)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით [1]2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობ[ი]თ მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით [ა]ვადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., [N] 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხაროვსკი [ი]ღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით [9]—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკე[თ]ება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ[უშ]ელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—228)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის [ქუ]ჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 138,

ახლად გახსნილი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ი. გ. ფელდორთვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—135)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**საფერშლო-საბებიო სკოლა.** კიევში ექიმ ნეიმტუბეს სამკურნალოსთან 100 პრავ. „კვისისანა". თხოვნების მიღება 1 სექტემბრამდე. (5—ფ.—5)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჭანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. აფხაზის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ხალო.) (24—310—24)


უწმ. სინოდის დადგენილებით 29 აგვისტოს იოანნე ნათლის მცემლის თავის მოკვეთის დღეს იმპერიის ყველა ეკლესიაში, მწუხრისა და წირვის დროს, **უნდა მოიკრიბოს შეწირულება.** ეს ფული სავსებით გადაიდება სამსახურის ასრულების დროს დაღუპულთა ობლების დასახმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ. დახმარებას აღმოუჩენენ იმ სამხედრო პირებისა, მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეებისა და მუშებისა და გარეშეების ობლებსაც, რომელნიც სამსახურის ასრულების დროს არეულობის მსხვერპლად გახდნენ ან კიდევ შემთხვევით არეულობის დროს დაიღუპნენ. იმედია, რომ მლოცველნი არ დაიშურებენ თითო-ოროლა გროშს ამ საზოგადოების დასახმარებლად.

ტფ. გუბერნატორი **ლოზინსკი.**


**ივ. გომელაურის მიერ** შედგენილი წიგნი **სკოლებში შესასწავლი**

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი. მეორე გამოცემა.

იყიდება ტფილისში ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. წიგნი **ყდით** ღირს 70 კ. მაღაზიებს დაეთმობა 20%. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა" ფასი 4 კაპ. (5—414—1)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „ბუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—7)

**გორის** მთავრობის ვაჟთა პროგიმნაზიის პედაგოგიური **საბჭო** აცხადებს, რომ ყველა განყოფილებებსა და კლასებში (მოსამზადებლიდან დაწყებული მეოთხე კლასამდე) არის **ვაკანსიები.**

მისაღები ეგზამენები დაიწყება **21 აგვისტოს.** (5—ფ.—3)


## დეპეშები

(პეტ. რუ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო

### სპარსეთი

**თავრიზი.** ურმიის კონსულის დამცველ რაზმის გასაძლიერებლად გაიგზავნა 50 სალდათი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** იემენიდან მოსული ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ოსმალეთის მთავრობა უარყოფს ჯედიდის კონსულის მიერ გამოგზავნილ ცნობებს, ვითომ იმამი იახია არაბებს შეერთებოდეს და მალე ლოხაიას აიღებდნენ. ამის მიზეზი ვითომ ის არის, რომ იმამი ძალიან უკმაყოფილოა, ოსმალეთის მთავრობა ავტონომიის შემოღებას აგვიანებსო. ტყუილია აგრეთვე ხმა, ვითომ სანაიის ახლო ყაზარმა აფეთქებულიყოს, დანამდვილებით მარტო ის შეიძლება ითქვას, რომ გოდეიდის რაიონში არაბები აღელვებული არიან. ამათ მეთაურობს იმამი, რომელიც თავის თავს მოხდის უწოდებს. გოდეიდის რაიონში ჯარი გაიგზავნა. მოკკის შერიფი მოხდის წინააღმდეგ გასალაშქრებლად წავიდა. ამას გარდა გაგზავნიან 4 სამხედრო გემს და ჯარის 46 ბატალიონს.

### საზღვარ-გარედ.

**ბეტენი.** გუშინ, 17 აგვისტოს, ბლერიოს ჰაეროპლანზე მოტორი აფეთქდა. ჰაეროპლანი სულ ერთიანად დაიწვა.

ჰაეროპლანების გუშინდელ გაჯიბრებაზე პირველი პრიზი აიღო ამერიკელმა კურტისმა.

**ბერლინი.** გუშინ, 17 აგვისტოს, ჰაეროსტატი „ცეპელინ მესამე" სამხრეთ-დასავლეთისკენ გაფრინდა.

**კოპენჰაგენი.** მცხოვრებლებმა დემონსტრაცია მოახდინეს. გაიმართა დიდი მიტინგი. დემონსტრაცია მიმართული იყო სახელმწიფო დაცვის მინისტრის ხრისტენსენის წინააღმდეგ. მიტინგზე დაადგინეს, მიართონ მეფეს და პარლამენტს პეტიციები და სთხოვონ სამართალში მისცენ სახელმწიფო დაცვის მინისტრი ხრისტენსენი. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს რომ დამოკიდებულება ჰქონდა ხრისტენსენს იუსტიციის მინისტრად ნამყოფ ალბერტისთან, რომელმაც აუარებელი სახელმწიფო ფული გაფლანგა.

**ბუდაპეშტი.** გუშინ, 17 აგვისტოს დიდის ამბით გახსნეს ექიმთა საერთაშორისო კონგრესი.

**ათინა.** ათინის სააგენტო იუწყება: ახალი სამინისტრო მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს. სამინისტრო დეპუტატთა პალატას წარუდგენს საჭირო რეფორმების პროექტს. რეფორმები მიმართული იქნება საბერძნეთის ყოველ-მხრივ განვითარებისაკენო.

სასჯელი აპატიეს იმ აფიცრებს და სალდათებს, რომლებიც სამხედრო მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ. ამნისტიის გამოცხადების შემდეგ ჯარი ყაზარმებში დაბრუნდა. საზოგადოება ნდობით უყურებს ახალ სამინისტროს. ელიან, რომ მოიწვიონ დეპუტატთა პალატა. ქალაქში დაბრუნებისას ჯარმა სალამი მისცა მეფეს. მოძრაობის მეთაურმა პოლკოვნიკმა ზორბასმა ჯარს წინადადება მისცა, კანონიერ გზას ნუ გადაუხვევთ, დამშვიდდით და დისციპლინას დაემორჩილეთო.

**ფრიდრიხსგაფენი.** დილის 7 საათზე ჰაეროსტატი „ცეპელინ მესამე" ბიულციგის ახლო დაზიანდა. ამის გამო ჰაეროსტატი მიწაზე დაეშვა. ჰაეროსტატის შეკეთებას 2—3 დღეს მოუნდებიან.

**ნიუ-იორკი.** მონტერეიში ისეთი დიდი წვიმა მოვიდა, რომ ქუჩები და სახლები სულ წალეკა. დაიღუპა 1200 კაცი, 1500 კაცი უსახლკაროდ დარჩა. ზარალი 20,000,000 დოლარს უდრის. წვიმდა განუწყვეტლივ 14 და 15 აგვისტოს. ნამეტანი ბევრი ხალხი დაიღუპა მდინარის სამხრეთ ნაპირზე, სადაც ბევრი სახლი დაინგრა. ხალხი სულ სახურავებზე იყო და სახლების დანგრევის დროს ნანგრევებ ქვეშ მოჰყვნენ. ქალაქი სულ წალეკილია, გაფუჭებულია ელექტრონი, ტრამვაის და რკინის გზები, წყლის გასაყვანი მილები და სხვა.

### რუსეთი

**ხოსნოვიცე.** სოფელ დომბროვოს ახლო, იანის მაღაროებში ერთი უბედურება დატრიალდა. ამ დროს მაღაროებში 26 მუშა მუშაობს და მუშებს სრულიად შემთხვევით გაუხვრეტიათ გვირაბი. გვირაბის გვერდზე ყოფილა ძველი, მოგლეჯილი გვირაბი, რომელიც წყლით ყოფილა სავსე. მაღაროები ხელად წყლით გაივსნენ. გაცხარებულია მუშაობა, რომ მუშები გადაარჩინონ, მაგრამ სულ ცოტა ორი დღე მაინც არის საჭირო, რომ მაღაროებში ხასვლა შეიძლებოდეს. ჰფიქრობენ, რომ 26 მუშა დაიღუპაო.

**სტავროპოლი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს გოლუბოვი.

თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებად აირჩია თავადი ტრუბეცკოი და გენერალი პისარევი.

**სიმფეროპოლი.** სოფელ მალაია ტოკმაჩკაში, ბერდიანსკის მაზრაში, გადაიწვა 300 სახლი.

**ალექსანდროვი.** იწვის დიდი სოფელი კრივოი როგი. გადაიწვა 300 სახლზე მეტი.

**სტაროდუბი.** ქალაქ პოგრში გადაიწვა 200 სახლი, 1000 ოჯახზე მეტი უსახლკაროდ დარჩა.

**ტომსკი.** სასამართლომ დაიწყო გარჩევა 1905 წლის ოქტომბერში მომხდარ აწიოკების საქმისა. სამართალში მიცემულია 80, მოწმეებად გამოიწვიეს 300 კაცი.

**კურსკი.** გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი გრაფი დორერერი.

**თემირ-ხან-შურა.** ქალაქზე გაიარეს სხვა და სხვა ჯარის იმ ნაწილებმა, რომლებიც გუნიბში მიდიან დღესასწაულებზე დასასწრებლად. გუნიბში ჯარი წარმოადგენს ქალაქის მერიშზე მიტანას და აღებას, ისე როგორც ამ 50 წლის წინად მოხდა. ქალაქის წარმომადგენლებმა აბშერონის პოლკს, ქალაქის დამაარსებელს, პურ-მარილი მიართვეს, ქალაქის თავმა სიტყვა წარმოსთქვა.

**ტომსკი.** სადგურ კრიტოვოს ახლო გაცარცვეს საფოსტო მატარებელი. მატარებლით სადგურიდან დღიური ნავაჭრი მიჰქონდათ. ბოროტგამზრახველებმა მატარებელს ორთქლ-მავალი მოხსნეს და უკანვე გაუშვეს. ორთქლ-მავალი დაეჯახა საქონლის მატარებელს.

**პეტერბურგი.** 19 აგვისტოს გამოცხადდება უმაღლესი ბრძანება, რომლითაც კიდევ რამდენიმე ხნით იმოქმედებს დებულება გაძლიერებულ დაცვის შესახებ. ხარკოვის, პოდოლის და ვოლინის გუბერნიებსა, პოკროვსკის და შუისკის მაზრებსა და ქალაქ—ნოვ-ვოზნესენსკში გაძლიერებული წესები ერთი წლით კიდევ დარჩება. ამას გარდა გაუქმებულ იქნება სახელმწიფო დაცვის შესახებ საბჭო და მისი კანცელარია.

**კალუგა.** ღამე, ურიადნიკის სახლის ახლო ყუმბარები გადააგდეს. არავინ დაშავებულა.

**ოდესსა.** ექიმების შემოწმებით, სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი, რომელიც გუშინ ცეცხლში დაიწვა, ჯერ მოუკლავთ და შემდეგ დამწვარა.

**ტულა.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი სალტიკოვი.

**ხარკოვი.** უნივერსიტეტის ერთ-ერთ კაბინეტში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს. დაიღუპა მოსამსახურე.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 16, გარდაიცვალა 12, ავად არის 340 კაცი.

**პოლტავა.** სოფელ სოტნიცკაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4 კაცი.

**არხანგელსკი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 7 კაცი.

**ალექსანდროვსკი.** გარდაიცვალა 1 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 9 კაცი.

**პეტერბურგი.** შეცდომის გასწორება. 15—16 აგვისტოს ლონდონიდან გამოგზავნილი დეპეშა შეცდომით არის გადმოცემული. დეპეშაში ნათქვამია, თავად იტომ ტუკუშიმეში (იაპონია) სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა, რომ თუ ჩინეთში კონსტიტუციონური მართველობა დამყარდა, შორეულ აღმოსავლეთის მშვიდობიანობას ხიფათი მოელისო. თავადმა იტომ სულ სხვა სთქვა. მისის სიტყვით, თუ ჩინეთში კონსტიტუციონური მართველობა დამყარდა, შორეულ აღმოსავლეთის მშვიდობიანობას ხიფათი აღარ მოელის.

## სათეატრო შენიშვნები და სურვილები

II

როგორც ვიცით, თეატრის შინაარსი მისი მიმართულებაა, მისი რეპერტუარი. როგორი იყო იგი დღემდის ჩვენში?

პირდაპირ რომ გადავჭრათ, მას მხოლოდ ნაციონალური ტენდენცია ასულდგმულებდა, მხოლოდ პოლიტიკურ დაჩაგრულობას გვამხილებდა, დაკარგულ თავისუფლების მოსაპოებლად გვიწვევდა მაგრამ, დამეთანხმებით, რომ, რამდენადაც საპატიო უნდა იყოს ესეთ გრძნობათა გაღვიძება, მუდამ იგი მაინც ვერ დააკმაყოფილებს ისეთ მსმენელს, რომელმაც უკვე შეიგნო ცხოვრების სხვა რთული მხარეებიც, რომელსაც აგრეთვე პასუხის გაცემა უნდა, ახსნა და გამორკვევა. სოციალური პრობლემები, ფსიხოლოგიური კავშირი ადამიანთა ურთი-ერთობამ, მისტიური ლტოლვილებანი, ყოველივე ეს აღიმართა თავის უზარ-მაზარის სიგრძე-სიგანით ჩვენის ხელოვნების მოყვარულთა წინაშე და, უსათუოა, იგი მათ დასურათებას, მათ გაშუქებასაც მოითხოვს ხელოვნებისაგან.

ამიტომაც ვიწრო კალაპოტში ჩამწყვდევა, ერთ რომელიმე ტენდენციის გაბატონება, მომავალში მაინც, ჩვენ თეატრს აღარ არგებს. ცალ-მხრივობა ყოველთვის საზარალოა. მორალურად და ნივთიერადაც.

როდესაც თეატრზე ლაპარაკობენ, უფრო ხშირად სამს რამეს უდარებენ მას: ტაძარს, სკოლასა და სარკეს. მაშ თუ თეტრი ტაძარია, მუნ ყველა ღმერთის მსხვერპლი უნდა იწირებოდეს. რომელსამე ერთ სექტას არ უნდა გაუხდეს იგი მსახურად. იქ ბუდდაც უნდა იყოს, ქრისტეც, კონფუციც და მუჰამედიც. სრულად უნდა სუფევდეს მუნ სინიდისის თავისუფლება. ეს დიადი ტაძარი ყველა ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთ უნდა შეივრდომებდეს. მე ასეთი მინდა ვნახო თეატრი: დიადი და ფართო, ვით ბუნება, რთული და მძლავრი, ვით ცხოვრება.

ხოლო თუ თეატრი სკოლაა, იქ პოლიტიკანობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ადამიანთა ვიწრო ტენდენცია არ უნდა იყოს იქ გაბატონებული. იქ უნდა სწავლობდნენ იმ საგნებს, რომელიც ბუნების საიდუმლოებას გადაუშლის თვალ წინ და ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას შეაგნებინებს.

ან კიდევ, თუ თეატრი სარკეა, მასში ყველაფერი უნდა იხატებოდეს დაუშლელად, აუკრძალავად. ყველას სახე უნდა გამოჩნდეს მუნითგან და ყველა ვითარებამ უნდა გაიაროს მის წინაშე.

არსებობს კიდევ ერთ-გვარი შეხედულება თეატრზე—ფრანგული. ზოგიერთებმა ჩვენშიაც გადმოიტანეს ეს შეხედულება. მათის აზრით, თეატრი დასასვენებელი ადგილია, სადაც დუხჭირ ან რთულ ცხოვრების მიერ მოღალული მსმენელი იმისათვის მიდის, რომ თეატრმა დაავიწყოს განვლილ დღის ჭირ-ვარამი, გააცინოს, ცოტა ნერვებსაც შეუღიტინოს, გადაიყვანოს თუნდა ოცნების სამეფოში, მაგრამ უწინარეს ყოვლისა-კი აამოს, დაატკბოს და მოუშაქროს ცხოვრებით გაჯახირებული ორი წუთი მაინც.

ამას რომ დავეთანხმოთ, მაშინ ხომ სხვა მდაბალ-გვარის გასართობების არსებობაც შეგვიძლიან გავამართლოთ, რადგან მათით განცხრომა ხშირად მამებელია და თავ-დამვიწყებელი. მაშინ რაღა საჭიროა თეატრი? აკი სხვა გვარადაც შევვძლებით გრძნობა განცხრომისა მოვიქარვოთ! თუ კი ამ მდაბალ საფეხურამდე ჩამოვიყვანთ თეატრის მნიშვნელობას, მაშინ სრულს მის უარის-ყოფამდე მივალთ.

სწორედ ამით უნდა ავხსნათ, რომ საფრანგეთის თეატრი, თეატრი მოლიერისა, ბომარშესი, თეატრი დიდ რევოლიუციის ხანისა, ნაპოლეონ მესამის დროიდან მაინც, ეგრე მდაბლა იდგა რეპერტუარის მხრით და ვერავითარი სერიოზული ნაწარმოები ვერ შეიტანა დრამატიულ ლიტერატურის სალაროში. ხოლო, რაც შეეხება ზოგიერთ ავტორს—მეტერლინკს (საფრანგეთს ვაკუთვნებ), მირბოს, მარსოლოს და სხვებს, დღემდის მათ დრამატიულ ნაწარმოებს გასავალი არც კი ჰქონდა საფრანგეთში. ხოლო თუ კიდევ შეირჩინა არსებობა საფრანგეთის დრამატიულმა თეატრმა, ეს უფრო იმიტომ, რომ ძველი, კლასიციზმის ტრადიციებით დაპურებული, დიდად ნიჭიერი მსახიობები ჰყავდა და სწორედ მხოლოდ ამ კლასიკებითაც ასულდგმულებს მათი ნაციონალური თეატრი. თუმცა ხომ ესეც ცალ-

მხრივობა იყო და იმიტომ გაუსწრეს კიდეც სხვა ხალხის თეატრებმა საფრანგეთისას.

რა კი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის თანამედროვე მსახიობთ დიდი დამსახურება მიუძღვით იმ მხრით, რომ იდეალურ სიმაღლემდის აიყვანეს ინდივიდუალური ტეხნიკა მსახიობისა (სარა ბერნარი, მუნე სიული, კოკლენები), მაგრამ სერიოზულ დრამატიულ ლიტერატურის აყვავებას ვერც ამან უშველა, რადგან გართობისათვის მთხზველი მწერლები ამ ტეხნიკასაც ისე უყურებდნენ, როგორც რაიმე სპორტს და მაყურებელიც მხოლოდ ამ სპორტისათვის მიდიოდა. სარდუს პიესები, მაგალითისათვის, თუნდ მისი „თეოდორა“, სარა ბერნარისათვის შეთხზული, თვით დიუმას განთქმული „მარგარიტა გოტიე“ და ეხლა კიდევ ეფექტიური პიესები ბერნშტეინისა, სულ ესეთს განსაკუთრებულ სასპორტო ფსიხოლოგიას და მსახიობთა ტეხნიკას ემსახურებიან. თუმცა ამ ბოლო დროს, ანტუანის თეატრის წყალობით, საფრანგეთის სცენასაც დაუდგა ახალი ხანა, ე. ი. გასართობი თეატრი უკუგდებულ იქმნა და ვნახოთ ამ ახალის გზით სიარული რა სიმაღლემდის აიყვანს ამ უცხო და საკვირველ ხალხის გენიოსობას.

სხვა ხალხთ ხომ დიდი ხანია გაკვალეს ეს ახალი გზა, „გაუთელელი“. იბსენი და მეტერლინკი, ზუდერმანი და ჰაუპტმანი, კნუტ ჰამსუნი და ჩეხოვი, ანდრეევი და პშიბიშევსკი, აი ვინ არიან, რეპერტუარის მხრით, მპყრობელნი და მფლობელნი მთელის ევროპის საუკეთესო თეატრებისა.

და ჩვენც, თუ არ გვინდა, რომ—თავ-მდაბლურად ვიტყვი—გაევროპიელების გზას გავცდეთ, გვერდს ვერ აუხვევთ ვერც ოქტავ მირბოს და ლეონიდ ანდრეევის სოციალურ მოვლენათა შხამიან ილიუსტრაციებს, ვერც იბსენის ინდივიდუალურ ფილოსოფიას, ვერც ჰაუპტმანის ნაზსა და ნარნარს აღწერილობას კაცის სულისას, ვერც სტრინდბერგის საარაკო ქალთა მოძულეობას, ვერც კნუტ ჰამსუნის ფატალიზმს და ვერც მორის მეტერლინკის მისტიურ ბუნდოვანებას.

რაღა თქმა უნდა, ასეთ ავტორებთან ერთად ჩვენი თეატრის რეპერტუარს უნდა ამშვენებდეს უკვდავი შექსპირი თავის გაუცვეთელის გულთამხილაობით, დიადი ენტუზიასტი შილლერი და სხვა კლასიკები, რომელთაც ეგეთი სამუდამო და ფერ-გადაუსვლელი სურათები შეჰქმნეს ადამიანთა ცხოვრებისა.

მათვე თან უნდა ახლდნენ ჩვენი, შინაური ავტორებიც, როგორც უფრო მახლობელი, ჩვენი ჭირ-ვარამის და დალხინების აღმნუსხველნი, როგორც შუამავალნი ჩვენსა და უცხო მწერალთა შორის, მათი უფრო მარტივი, უბრალო განმმარტებელნი, რომ ჩვენსა და მათ შორის უფრო მჭიდრო ხიდი გაიდოს.

და, აი, მაშინ, ამ დიადსა და თვალ-შეუდგამ ტაძარს ხალხი მართლა ტაძრად მიიჩნევს, მართლა სკოლად იწამებს, მართლა სარკედ გაიხდის.

**შალვა დადიანი.**

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საექსარხოსო.** როგორც „ტ. ლ.“-ს გაუგია, უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, დასტოვოს საქართველოს საექსარხოსო. ექსარხოსად ნიშნავენ ალეუტის მთავარ-ეპისკოპოსს პლატონს. ტფ. სასინოდო კანტორას კონსისტორიად გადააკეთებენ. გააუქმებენ გორის ეპისკოპოსის თანამდებობას და დასტოვებენ მხოლოდ ალავერდისას.

✦ **სახალხო წარმოდგენების სექციაში.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ წარმოდგენების სექციაში არა სასურველმა შედეგმა იჩინა თავი. ამის მოსასპობად სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ, სექციის უმრავლესობის წინადადების თანახმად, აირჩია მცირე კომისია სამი კაცისაგან და მას დაავალა შედგენა ახალის სექციისა. კომისიამ შეასრულა მინდობილება. სექციის გარეშე დასტოვა კომისიამ ბ-ნი ჯულელი, ტოროშელიძე და გოციარიძე. კომისიის ასეთ არჩევანის წინაალმდეგნი გახდნენ მომხსენებელი პირნი და მათ თავის მხრით პროტესტი განაცხადეს. გამწვავებულ მდგომარეობის გამოსარკვევად, 17 აგვისტოს საღამოთი, შეერთებული სხდომა მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა და წარმოდგენების სექციისა. შეერთებული სხდომა იმითი დამთავრდა, რომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას გადაეცა საკითხის გადასაწყვეტად მთელი მასალა. გამგეობა სახეში მიიღებს კომისიის მოხსენებას და აღნიშნულ სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებათ და თვით მოახდენს არჩევანს სექციის წევრებისას.

✦ **გაზეთი არმავირში.** დ. ვ. ელენტს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს ყუბანის ოლქში, ქალაქ არმავირში გამოსცეს რუსული ყოველდღიური გაზ. „კავკაზსკი კრაი“.

✦ **უცაბედი მკვლელობა.** ცაგერში ნადირობის დროს ყმაწვილ კაცს გარდაფხაძეს უცაბედად მოუკლავს გიმნაზიელი სპირიდონ მახარობლიძე. (ტ. ლ.)

✦ **კონცერტი.** ამ მოკლე ხანში თავად-აზნაურთა საზამთრო თეატრში ახალგაზრდა მომღერალი ლევან ჩუბინიშვილი გამართავს კონცერტს. ლ. ჩუბინიშვილი მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში სწავლობს და მეცადინეობს ცნობილ პროფესორ კორსის ხელმძღვანელობით. ჩუბინიშვილი ამ ჟამად მესამე კურსზეა და როგორც ამბობენ მშვენიერი, ტკბილი ხმა აქვს (ტენორი).

✦ **გზათა ოლქის უფროსი.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, კავკასიის გზათა ოლქის უფროსად დაუმტკიცებიათ ინჟ. ჰოფმანი.

✦ **საგლეხო-ბანკის გადასახადები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუცია ცირკულიარი იმ გადასახადების შესახებ, რომელსაც გლეხები იხდიან საგლეხო ბანკის საშუალებით შეძენილ მამულებში. ამ ცირკულიარით პოლიციას ევალება, იღონოს ყოველი ღონე, რომ ეს გადასახადები დროზე და რიგზე იკრიბებოდეს.

✦ **სეირნობა ოზურგეთში.** კვირას, 23 მარიამობისთვეს, ოზურგეთში მომავალ რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ გაიმართება დიდი საინტერესო სახალხო სეირნობა.

✦ **მეფუტკრეობის გამოფენა.** რამდენიმე ხნის წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, მიეცეს საზოგადოებას ნება წელს, ნოემბერში, სამეურნეო საზოგადოების სადგომში გაიმართოს მეფუტკრეობის გამოფენა. საბჭოს მიერ შემუშავებულ პროგრამით გამოფენილ იქმნება ნაწარმოები მეფუტკრეობისა, იარაღები და საგნები მეფუტკრეობაში სახმარებელნი და მოეწყობა აგრეთვე სამეცნიერო სამუშაო განყოფილება. საბჭოს შუამდგომლობისამებრ მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გამოფენის მოსაწყობად გადასდო 100 მანეთი.

✦ **შრომის ბირჟა ჭიათურაში.** როგორც გვატყობინებენ, დაბა ჭიათურაში განუზრახავთ შრომის ბირჟის დაარსება. საქმის ინიციატორები ტფილისის ბირჟის გამგეს სთხოვენ წესდებისა და ცნობების მიწოდებას.

✦ **გამოკვლევა.** ქალაქის ლაბორატორიის დროებით გამგემ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მილის წყალი გამოიკვლია უკანასკნელ ორი-სამი დღის განმავლობაში და რომ ხოლერის ვიბრიონები წყალში არ აღმოჩნდა.

✦ **უპასპორტონი.** გაჩხრეკის დროს პოლიციის პირველ ნაწილში დააპატიმრეს 12 უპასპორტო კაცი.

✦ **შრომის ბირჟის კანტორაში.** შრომის ბირჟის კანტორაში 1-ლ აგვისტოდან 15-მდე საქმის მაძიებელთაგან ჩაწერილან 128, აქედან 72 მამა-კაცი და 56 დედა-კაცი; ამათგან 59 რუსია, 22 ქართველი, 13 სომეხი, 11 პოლონელი და დანარჩენი სხვა და სხვა ეროვნებისა.

✦ **კურსები.** ადმინისტრაციამ ნება დართო ვ. ვ. შარკოვს, ტფილისში მოეწყოს მიწის-მზომელთა კურსები.

✦ მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად არქიმ. პიროსის ნაცვლად, რომელიც თფილისში გადმოიყვანეს, დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერასიმე.

✦ ტფილისის გუბერნატორმა, საგზაო დადგენილებათა დარღვევისათვის, დააჯარიმა 50 მანეთით ტფ. მეტხოვრები ანატოლი ივ. რადიშევი; დაჯარიმებულ იქმნენ აგრეთვე დავით ცაპინი, სტეფანე კლიმენოვისა და ეფემია და ალექსანდრა ტალახაძეები თითო ოც-ოც და-ხუთი მან.

✦ 17 აგვისტოს, პოლიციელებმა დააპატიმრეს პორფირე ბაბლიძე, რომელსაც ბრალდება ნაძალადევის მცხოვრებ გიგო ჯავახიშვილის სახლიდან ორის კამეჩის მოპარვა.

✦ 17 აგვისტოს, საღამოთი ელისაბედის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონს ქვეშ ჩავარდა ტფილისის მოქალაქე მიკიჩ ოსკანოვი. ვაგონმა ორივე ფეხი მოსწყვიტა გრძნობა დაკარგული ოსკანოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბავი

**ურაველი** (ახალც. მაზ.) აბასთუმნის შემდეგ მეორე სააგარაკო ჩვენში ურაველია, რომელსაც აუარებელი მთაგარაკე ეტანება ხოლმე ზაფხულობით. აბასთუმნისა. გოგირდისა და თბილი წყალი უმეტესად დაქანცულ სნეულთა ჰშველის, ურავლის წყალი კი რკინისა და ცივი, რომელიც კარგია სისხლ-ნაკლულთათვის და საზოგადოდ, დასუსტებულთათვის. ურავლის წყალი ბევრად უკეთესია აბასთუმნისაზე, მაგრამ რადგან გზა და ხიდი არ ვარგა და ძნელია ეტლით მოგზაურობა, იგი ჩამორჩენილია.

ურაველში 4—5 აუზია გამართული და ზედ უხეირო უბრალო ფიცრული სახლი სდგას. ამ სახლებს ფანჯრებში მინებიც კი არ უზის და გამთბარ წყალში მობანავეთ თავისუფლად უქრის ქარი აუზიდან ამოსვლის დროს. აბასთუმნის აბანოების შენობებზე კი მილიონებია დახარჯული და, რა საკვირველია, საუკეთესოდ არის მოწყობილი. ბანებიც იაფია, ვიდრე აქ, ურავლის უხეირო აბანოში. ურავლის ცივ-წყალში მობანავეთ უკანასკნელ 5 კაპიკს, ხოლო თბილში 20 კაპ. ახდევინებენ, აბასთუმანში კი 10 კაპიკს.

ურაველში თუმცა სახლები ბევრად იაფია აბასთუმნის სახლებზე, მაგრამ სანოვაგე და სხვა საქონელი უფრო ძვირია. ურაველში მხოლოდ ორი მედუქნეა და როგორც ჭსურთ ისე ჭყვიდიან სანოვაგეს, წონაშიაც რომ არ ატყუებდნენ, სიძვირეს ვინ დაეძებს.

ამას გარდა ურავლის მოაგარაკეთ სერიოზული გასართობი არა აქვთ, არც სამკითხველოა აქა, არც წარმოდგენები იმართება და არც, საზოგადოდ, კლუბისებური დაწესებულებაა. გასართობი ბანქო, დომინო და ნარდია, რაშიაც ხშირად სამკურნალოდ მიტანილ გროშებსაც აგებენ და იძულებულნი ხდებიან ივალონ ხოლმე.

კარგი იქნება, შესდგეს აქ პატარა წრე ან ამხანაგობა, რომელიც მოაგარაკეთ მიაწვდის საუკეთესო სანოვაგეს ზომიერ ფასად, გახსნის სამკითხველოს, გამართავს კეგლს და აიღებს საბანაოს იჯარით, რათა კარგად მოაწყოს და მეტი ხალხი მიიზიდოს.

ურაველში 100 ხის სახლი იქნება. ადგილი სახაზინოა. განაგებს ტყის მმართველი (ლესნიჩი). გადასახადი კარგა დიდია; ორი მესამედი სახლის პატრონებისა ვერ იხდის ამ გადასახადს და გამგეს ამათი სახლები დაუბეჭდავს, რომ არ გააქირაონ. ამიტომაც სახლები ცოტაა. ამით რასაკვირველია, სარგებლობენ ხარჯის გადამხდელები და თავიანთ სახლებს ერთი-ორად მეტად აქირავებენ. არავინა ზრუნავს სისუფთავეზე. მედუქნეები დაკლულ საქონლის შიგანებს აქა-იქა ყრიან და მათის სუნით ჰაერი აყროლებულია.

ხმა დადის, რომ გზა-გაკეთებული [illegible] მაზრის-ყურთისი შეუდგება შეკეთებას [illegible] რეთვე, რომ მესხისავე არ ვერსიან ციცაბო შედმართზე გზები უნდა გაიყვანონო. თუ ეს გამართლდა, ურაველში მისვლა გაადვილდება.

წელს ჩვენს კუთხეს ბევრი ექსკურსანტი ეწვია ვარშავიდან, ოდესიდან, კიევიდან, პსკოვიდან, კავკავიდან, უმეტესად სამხედრო პირები. აქეთ მრავალი ძველი ეკკლესია და გაპარტახებული ადგილია.

**კ. გვარამაძე.**

—

**დ. ხონი.** „დროებაში“ უკვე იყო აღნიშნული, რომ სარწყავი წყლით ვერა სარგებლობს. ვერა სარგებლობს უფრო ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა, რადგან მისთვის არავინ ზრუნავს. საზოგადოდ წყლის საქმეზე საშინელი უწესრიგობა იყო წრეულს. წყლით ის სარგებლობდა, ვინც ძალას ხმარობდა. სასურველია, წლევანდელის გამოცდილებით ისარგებლონ ამ საქმის მმართველთ და ეცადნენ მომავალში არ განმეორდეს ის რაც წრეულს იყო.

ძველ ადათ-ჩვეულებას ხალხის ცხოვრებაში კიდევ აქვს ადგილი. ვერ გაუხედიათ იმდენად თვალი, რომ დაინახონ, რაა ადამიანისათვის მავნე და რაა სასარგებლო. თუმცა ეს მხარე სასწავლებელ-სამკითხველოებით მდიდარია, მცხოვრებთა უმრავლესობის გონება მაინც წყვდიადითაა მოცული. გათვალვა, შელოცვა და სხვა მტკიცედ არის დაცული. სოფლის ექიმბაშებიც ბლომად არიან. ბევრ ბოროტებას სჩადიან ესენი. ხალხის უმეტესობა ამათ უფრო უჯერებს, ვიდრე ნამდვილ ექიმებს.

**გ. ფაჩკუნჯი.**

—

**ს. ქარვასლა** (ყაზახის მაზრა) წელს ს. ქარვასლაში და თვით მთელ ყაზახის მაზრაში მშვენიერი მოსავალი იყო. თუმცა მკა დიდი ხანია გაათავეს, მაგრამ გალეწვა ვერ მოასწრეს, ზოგს ისევ მინდორში აქვს ზვინახული. ეს რამდენიმე დღეა წვიმებმა ხელი შეუშალეს ხალხს დანარჩენის გალეწვით. გამოსავალი კარგი აქვს და ხალხიც კმაყოფილია. ხორბალი ჯერჯერობით ფუთი ოთხი აბაზია, ჩვეულებრივი შაური და მეტიც. ქერი კი ყაზახის მაზრაში ცოტა მოჰყავთ. აქაური ხალხი ხვნა თესვას გულ გრილად ეკიდება. მეტი წილი ახალ გაზრდობისა სამუშაოდ არის წასულა ბაქოს, ბალახანას და სხვაგან. მევენახეობასაც ცოტას მისდევენ. აქაური

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

**ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).**

(შემდეგი *)

II.

ერთი მაგალითი იმისი, თუ რა უეცრად და რა მძლავრად მოედება ხოლმე მოხევეს სიყვარულის ალი, „ციკოა“. გუგუამ ციკო ხატობაზე ნახა. „გუგუამ შეხედა და გაშტერებული დარჩა“. დიდხანს ფიქრსაც არ მოუნდა და პირდაპირ გადაკრით ქალს გამოუცხადა—„ღთის მადლმა, რომ მე შენ აღარ მოგეშვები!—გუგუამ გაჰხედა ქალს და მთლად აჟრჟოლდა, შეჰკრა მიმავალს თვალი და იგრძნო, რომ იმისი **მოშორება შეუძლებელი ჰხდება.** გადასწყიტა, **რომ ბედს იმისთვის დაუწერია ეს ქალი და, სიკვდილადაც რომ დაუჯდეს, თავს აღარ დაანებებდა“.** ამის შემდეგ ის ქალს მოიტაცებს. მოხუცებული დედა მერდინს წინ ფეხქვეშ გაუშლის მომტაცებელთ, მაგრამ ამას, ამ უწმინდესს ჩვეულებას მთისას, რომლის შემდეგ თვით მოსისხლე მტრებიც კი დასტოვებენ ერთმანეთთან ბრძოლას, გადალახავენ გუგუას ამქრები და „თითონ **გუგუა კი იქამდის გაეტაცნა ციკოსთან შეერთების სურვილს, რომ გონება-დაბნეულს ვერ მოესაზრა, რას სჩადიოდნენ იმისი ამხანაგები,** რომელნიც გარყვნილნი ნაჩალნიკ-დიამბეგებთან გდებით, საჭიროდ აღარა სთვლიდნენ ძველი, წმინდა სახალხო ჩვეულება უმანკოდ და შეურყევლად შეენახათ“.

ასეთი ბოროტ-მოქმედია გუგუა; მან გადალახა მთის ჩვეულება, ძალით მოიტაცა ქალი, მის ნება-სურვილს არ დაეკითხა. მაგრამ განა ეს ყველა მის გრძნობის ძლიერებას არ ამტკიცებდა, მის სიყვარულით გაშმაგებას არ ამტკიცებდა, და ამ ძალმა თანდათან დაიმორჩილა აღშფოთებული მტერი და მოყვრად გადააქცია იგი.

პირველად შეხედა ქალმა გუგუას თვალებში და გაჟრჟოლდა

**იმის თვალებითგან გამოკრთა რაღაც უხილავი ცეცხლი, რომელმაც ერთბაშად მოხიბლა ციკო, ააჟრჟოლა, სიტყვა გაუწყვიტა პირში. გუგუამაც იგრძნო, თუმცა გამოურკვევლად, ეს ძალა და აშკარად ამჩნევდა, რომ რაღაცა ცვლილება ჰხდებოდა იმის გულში...**

ციკო გუგუას „ცეცხლმა“ დაიმონავა, დაიმორჩილა და ნეტარების ჟრუანტელი დაუტარა სხეულში. ამის შემდეგ ის ციკოსთვის ლამაზიც იყო, მარდიც, მშვენიერიც; იმის თვალების შესადარი თვალები აღარ დაიბადებოდა, იმის ტუჩებისთანა ტუჩები აღარ გაჩნდებოდა“. ასე თავდება ამ ნიადაგზე ბრძოლა ყოველთვის და შედეგი საბედნიერო ხელშეკრულებაა. მაგრამ ციკოც, როგორც მზაღო, როგორც ციცია, უბედური ხდება ბრიყვძალის მეოხებით. გუგუა სოფლის საძოვარს იცავს გარყვნილ მებატონესაგან, რომელსაც ძალადობის განსახორციელებლად ყაზახი-რუსები მოეწვია. გუგუას მთავრობის წინააღმდეგობისათვის ჩამოახრჩობენ. ამგვარად, ეს კიდევ ერთი მსხვერპლი საერთო უბედურებისა, რომელზედაც ქვემოდ ვილაპარაკებთ.

III.

მე თქვენ დაგანახვებთ, თუ რა სავსებითა აქვს შეგნებული და დასურათებული მძლეთა-მძლე მეუფე სიყვარული ყაზბეგს, რა უცხოთა აქვს გამოხატული მისი ფატალური ძლევა-მოსილი მსვლელობა ადამიანის გულში.

მაგრამ, თუ გინდათ, ახლოს ნახოთ ტრაგიკული სახე სიყვარულის სიმძაფრისა, მისი საშინელებისა, გადაიკითხეთ „მოძღვარი“. იშვიათად შეუგნიათ, და გადმოუციათ მსოფლიო ლიტერატურის უდიდებულეს პოეტთ ის სიმწვავე და სიტკბო, ის ტანჯვა და ვაება, ის სიხარული და ბედნიერება, ის გაშმაგებული სურვა, რომელიც თანასდევს ამ გრძნობას. ონისეს, გელას მწყემსს, და მაყვალას, გელას ცოლს, ერთმანერთი უყვართ: „მათ ერთმანერთი სიყმაწვილითვე გულში ისე ჩასჭედოდათ, რომ თვით ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ველარ ამოებუგა და ქვეყნის ნიაღვარს ვერ წაელეკა“. გელა მაყვალას ქალისდა უნებურად ირთავს. „თემობას ასეთი საქმე შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ გელა ეხლა თემს აღარ დაგიდევდათ, ის „ახალ ძალების“ ერთგულებას არჩევდა, ამაზე ამყარებდა თავისს გავლენასა და ღონეს. იგი „იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებელი იყო, რამოდენადვე გარყვნილიყო და გათამამებულიყო[1])“. მაყვალა ზიზღით უყურებს გელას და ყოველ შემთხვევაში ამ ზიზღს უცხადებს, მაგრამ გელა თავის ძალასა და უფლებას ადგია. კიდევაც გაექცევა ერთხელ ქმარს. თემიც დაადასტურებს ამ გაქცევას, მაგრამ „ახალი კანონი“ ცოლს ისევ ქმრის „კლანჭებში“ აგდებს. მაყვალა სიყვარულის გრძნობის უძლეველის ფატალურის ძალის წინააღმდეგობას ვერ შესძლებს, და იგი ამ გრძნობის მონა გახდება. და როცა ონისემ, ბევრის დევნისა და ხვეწნა-მუდარების შემდეგ, ქალი დაიმორჩილა: „მაყვალამ იგრძნო რაღაც სითბოება, სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და **უხილავის ძალის გავლენის ქვეშ** მყოფმა დაიკვნესა, წნელისავით გადმოიგრიხა და ორივე ხელი ყელზე მაგრად გველისავით შემოაჭდო პასუხად. აღგზნებული, ხანგრძლივი კოცნა კაცისა გაისმა. ყველაფერი გაჩუმებულიყო, გაყუჩებულიყო და სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ამ საერთო იდუმალობის დროს ათასში ერთხელ გაისმოდა შეყვარებულთა ხმა, რომელნიც ერთმანეთს ზევით ღმერთს აძლევდნენ თავდებადა და ქვეშ დედა-მიწას, რომ საუკუნოდ შაერთდებოდნენ, რომ ერთმანერთით ისულდგმულებდნენ[2])“. გელა ონისეს შეისწრებს თავის სახლში და დასჭრის. შემდეგ თემი განასამართლებს მათ მოქმედებას და სამივეს განდევნის თემიდან: მაყვალას, თემიდან განძევებულს, „მოძღვარი“ ნახავს თოვლში ჩაფლულს და სიკვდილს გადაარჩენს, მაგრამ ის ვერ გადაარჩენს იმ ძალას, იმდენადვე ძლიერს, როგორც სიკვდილს, რომელსაც სიყვარული ეწოდება, და რომელსაც შეეკრა, შეებოჭა და წარუხოცელი დაღი დაესვა მის ცხოვრებაზე. გაშმაგებული, ველად გავარდნილი მისი მიჯნური ონისე გაუგმირავს მას მკერდს ხანჯლით „მოძღვრის“ სენაკში, ვინაიდან „მაყვალაი“ „ცხოსთვის ვერ დაეთმო“. გელა „მოძღვარს“ გააბამს მაყვალას სიკვდილში და გააციმბირებინებს. ონისე თემის წინაშე აღიარებს თავის დანაშაულს. ამ დროს გელა მას მოჰკლავს თოფით, ხოლო თემი გელას ქვით ჩაჰქოლავს.

აბა, დაუკვირდით ამ მარტივ, თითქმის ყოველდღიურ არაკს სიყვარულისას, რომელიც რომანტიულ მანერაზეა გამოხატული და ნახეთ რა მხატვრულის შემოქმედებით აქვს ავტორს გაღრმავებული და გაბრწყინვებული. ნახეთ, აბა, რა თანდათანობით იზრდება და ვითარდება მაყვალასა და ონისეს გრძნობა და როგორის აუცილებლობით მიდის თავის ლოგიკურ, ფატალურ დასკვნამდე. ეგრეთი ძლიერი გრძნობა მთელი ცხოვრებაა, მთელი ღერძია ცხოვრებისა, მისი დასაბამისა და დასასრულის კალაპოტი და ჰახრაკი. პირველად ქალი, თემის წესის მონა, გულდათუთქული ეუბნება ონისეს, ღმერთმა და ხალხმა სხვას მაკუთნა, უნდა დავმორჩილდე... ქმრიანი ვარ და თემს ყბად ვერ ავეღებინებიო“. მაგრამ განა აგრეთ მოსაზრებას რაიმე გავლენა აქვს გაშმაგებულ მიჯნურზე. ეს, პირიქით, უფროც ამწვავებს მის სურვას და აკი გაბრაზებით უპასუხებს: **„სტყუი!... ღმერთმა და ხალხმა კი არა, ძალამ გაკუთნა, და შენც დამორჩილდი... მოკვდე, ის არ გირჩევნია? ქვის გული გქონია, ღვთის მადლმა“.** ეს რევოლიუციონური პროტესტი ხანს გადასულის ჩვეულების წინააღმდეგ პირველად გაისმის ამ მოთხრობაში და ეს პროტესტი მერე საქმედაც გადაიქცევა. თუმცა პირველად მაყვალა „ღმერთისა და ხალხის“ გადაწყვეტილების მორჩილებას კისრულობს და ონისესგან გატაცებაზე უარს ამბობს, მანდილს ვერ მოვიხდიო, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ეს ტყუილია, სიტყვის მასალაა გონებისა და ჭკუის ნაკარნახევი და არავითარი მტკიცე ნიადაგი არა აქვს.

რამდენადაც მაყვალა დღემდის ცდილა იყო, რომ გულ-წრფელი სიყვარულის გრძნობა შაეყენებინა, რამდენიც მეტი და სასტიკი მოთმინება დაეხვედრებინა გულის მოძრაობისთვის, იმდენად მეტის ძალით გაბრძოლებულიყო მის დაუკითხავად აღძრული გრძნობა. ყოველი მეცადინეობა მაყვალასი, **ყოველი მოსაზრება, რომელსაც გრძნობის მოძრაობას წინ უყენებდა, გადმოჰხეთქა გაშმაგებულმა წადილმა და თან წარიტაცა ქალის ნება.., ეხლა მაყვალა მთლად გრძნობას დაჰმონებოდა.** ეხლა მზად იყო ყველასთვის პირდაპირ, უშიშრად ეთქვა: „მე ვეძებ ონისეს. მასთან შაერთებისა არა მრცხვენის, **ამიტომ რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარს...“** მაყვალა მზად იყო **მთელი თავისი სიცოცხლე მიეცა, ოღონდაც კი ეს კაცი დაენახა, ჩაეხვია,** ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოესწრო—ეთქვა: „ჩემო ყველავ!“ და მერე თუნდ სული დაელია... იქამდის ძლიერად გაშმაგებულიყო ეს ქალი, **იქამდის შაეპყრო წადილს,** რომ **სრულ თავ-დავიწყებას მისცემოდა“.** („მოძღვარი“, გვ. 77—79.)

ონისეც არა უკეთესს მდგომარეობაში გახლავთ. სცადა კიდევაც გადაევიწყებინა, ვითომ კიდევაც გა-

*) იხ. „დროება“, N 180.

[1]) ყაზბეგის ხტილზედაც გვექმნება ლაპარაკი. მისი ქართული მართლ წერა ყოვლად შეუწყნარებელია.

[2]) „მოძღვარი“, გვ. 117, ქართვ. ამხან. გამოც. 1891 წ.

ურძენი მეტად მჟავეა, ამიტომ ღვინოც ვერ არის კარგი და დიდ ხანს ვერა სძლებს. განჯის ღვინოს მიკიტნები ჰყიდიან ბოთლს 10 კაპ. (წარექაზე ნაკლებია).

რადგან ხშირი ტყეები ბევრია და შინდი გამოუვალი, ამიტომ სოფლის ქედაკაცები მუდამ დღე შინდს ჰკრეფენ და არაყსა ხდიან. კაცმა რომ გადახედოს ქედაკაცებით მოდებულ ტყეებს, გაუკვირდება. ყველანი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტს მოჰკრეფს.

ქარვასლაში სააგარაკოდ ხალხი ნაკლებ მოდის, დილიჟანში კი წელს, ტევა არ იყო. სახლის პატრონებმა თითონ ქათმებივით ქანდარაზე მოიკალათეს და ოთახები მოაგარაკეთ დაუთმეს. მშვენიერი ჰავაა დილიჟანში და ამასთან საუცხოო ნაძვის ტყე. წყალიც მშვენიერია. დილიჟანში გასართობათ არის როტონდა, სადაც საზანდარი და სამხედრო მუსიკა ყოველ დღე უკრავს. წარმოდგენებიც კვირაში სამჯერ იმართება რუსულ და სომხურ ენაზე.

ვ. ქავთარაძე.

## მეტეხის წიგნთ-საცავი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ ჟამად მეტეხის ციხეში რვაასზე მეტი ტუსაღია ჩამწყვდეული. ხანდახან ტუსაღთა რიცხვი 980 აღწევს ხოლმე. ორ მესამედზე მეტის ტუსაღებისას შეადგენენ ქართველები. სხვა გაჭირებას და უბედობასთან ერთად, ეს ამოდენა ხალხი სულიერ გაჭირებასაც განიცდის. მეტეხის ციხეში ბიბლიოთეკა არსებობს, საიდანაც ტუსაღები წიგნებით სარგებლობენ. ამ ბიბლიოთეკაში დღეს ერთი ქართული წიგნიც აღარ მოიპოვება. ტუსაღები ამბობდნენ: წინათ ბიბლიოთეკიდან გვეძლეოდა ქართული წიგნებით, დღეს რა იქნა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ ეს წიგნები, არავინ იცისო; ზოგნი ამბობდნენ ციხის უფროსმა ბრძანება გასცა, აღარ მიეცეს ქართული წიგნებიო. მე ეს დაუჯერებლად მიმაჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს დაიძახეს, ბიბლიოთეკიდან წიგნებს იძლევიანო; სხვებთან ერთად მეც გავეშურე იქითკენ წიგნის ასაღებად. ბიბლიოთეკის გამგეს ბ-ნ კობიაკოვს და უფროსის ერთ-ერთ თანაშემწეს შევეკითხე, ნუ თუ მართლა უფროსმა აკრძალა ქართული წიგნების მიცემა მაშინ როდესაც ბევრმა არც კი იცის რუსულის კითხვა, გარდა ქართულისა მეთქი.

კობიაკოვმა სთქვა: ტუსაღები ხევენ წიგნებსო და აი მიზეზი ქართულ წიგნების უქონლობისაო. მე უთხარ: კარგი იქნება, ქართულ წიგნებზედაც ისეთივე პასუხის-მგებლობა იყოს შემოღებული, როგორიცაა რუსულ წიგნებზედ. მაშინ წიგნებს გაუფრთხილდებოდნენ მეთქი..

ტუსაღების ხვეწნა-მუდარა საზოგადოებისა, წიგნების გამომცემლებისა და კერძო პირებისადმი ის იყო, რომ მიაწოდონ ხსენებულ ბიბლიოთეკას ყოველ გვარი წიგნი.

ვასრულებ რა მათ თხოვნას, მოუწოდებ ქართველ საზოგადოებას ხელი შეუწყონ მათ სურვილს ძველისა თუ ახალის წიგნების მიწოდებით, რათა ამოდენა ქართული წიგნისა და კითხვის მოყვარულმა ხალხმა ამით მაინც ინუგეშოს თავი.

ი. კარგარეთელი.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

**საუბარი ბრანტინგთან.**

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტს უსაუბრნია შვეციელ მუშების მეთაურთა ბრანტინგთან. კორესპონდენტი სწერს: „8 აგვისტოს შვედურ გაზ. „აფტენბლადეტ“-ში დაიბეჭდა ცნობა, რომ გერმანულ გაზეთების აზრით, შვეციელ მუშების საყოველთაო გაფიცვა მარცხით გათავდა, გაფიცვას ბოლო მოეღო 10 აგვისტოს, როდესაც მუშაობა დაიწყო ეგრედ წოდებულმა „ყვითელ მუშების“ კავშირმა, რომელსაც 8 ათასი წევრი ჰყავს; ხოლო მათი მაგალითი დარაზმულ მუშებსაც გაიტაცებსო. შვედურ გაზეთში ეწერა ისიც, რომ გერმანული გაზეთები მეტად აქებენ შვეციელ მუშების სოლიდარ თანხმობას, მაგრამ ამასთანავე აღნიშნენ, რომ მუშებს ფული აკლიათ და ამის გამო გაფიცვა სრულის მარცხით დასრულდებაო.

ამ ხმების შესამოწმებლად ჩვენ მივმართეთ პარლამენტის დეპუტატს, გაზ. „სოციალ-დემოკრატ“-ის რედაქტორს ჰიალმარ ბრანტინგს, გაფიცვის უმთავრეს მეთაურს, რომელიც ეს არის დაბრუნდა პროვინციიდან, სადაც საგიტაციოთ იყო წასული. აი რა გვიამბო ბ-მა ბრანტინგმა:

„დიახ, 10 აგვისტოს მუშაობა დაიწყო ეგრედ წოდებულ „ყვითელ“ მუშების კავშირმა, რომლის წევრთა რიცხვი არ აღემატება 8 ათასსა. მაგრამ გაფიცვის დაწყების დროს შეკავშირებულ მუშებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ „ზომიერ“ მუშების კავშირი მიემხრობოდა მათ, ამიტომ ამ კავშირის ჩამოშორება, ისიც 20 დღის გაფიცვის შემდეგ, მოულოდნელი რამ არ იყო მუშებისათვის. ამას გარდა ამ მუშების რიცხვი იმდენად მცირეა და ისინი ისე გაფანტულები არიან მთელს შვეციაში, რომ მათი მაგალითი არავითარ გავლენას არ იქონიებს შეკავშირებულ მუშებზე. ვნახოთ, ჯერ კიდევ არ ვიცით, გაუშვებენ მათ დანარჩენი მუშები სამუშაოდ, თუ არა. ამისთვის შეკავშირებულ მუშებს იქნება ძალის მოხმარებაც არ დასჭირდეთ.

ამ ჟამად შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ როდის გათავდება გაფიცვა. მე ნამდვილად ვიცი, რომ პროვინციის მუშები ძალიან ყოჩაღად არიან და დათმობა ფიქრადაც არ მოსდით.

მართალია ჩვენ ფული გვაკლია, მაგრამ სულ ერთია, ჩვენ ლოკაუტისთვის უნდა გავუძლოთ. ამიტომ გაფიცვა მხოლოდ ლოკაუტთან ერთად გათავდება.

როგორიც უნდა დიდი ზარალი მოსვლოდეს გაფიცულ მუშების ჯარს, მათ მაინც შესძლეს დიდი ბრძოლა „მრეწველთა კავშირთან“ და ისეთი დიდი ზარალი მისცეს მას, რომ შვეციის მსხვილ კაპიტალს სამუდამოდ დაეკარგება ხალისი ისეთ უმოწყალო ღონისძიების მოხმარებისა, როგორიცაა ლოკაუტი.

რაც შეეხება თითონ მუშებს, მათთვის გაფიცვას მეტად დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს: მუშათა ორგანიზაციებმა 50 ათასზე მეტი ახალი წევრი შეიძინეს და სოლიდარის ერთსულოვანებით აამოძრავეს მთელი თავიანთი ძალა.

ამნაირად, შვეციის საყოველთაო გაფიცვა არასოდეს არ ჩაითვლება დამარცხებულად, და 8,000 „ყვითელ“ მუშის ჩამოშორება არავითარ გავლენას არ იქონიებს ბრძოლის მიმდინარეობაზე“.

ამით დასრულდა ჩვენი საუბარი.

თითონ ბრანტინგმა მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: იგი ნამდვილი ტიპია სახალხო ტრიბუნისა, რომელსაც ჰლარა თმამა და ხანგრძლივმა მუშაობამ არ ჩაუქრეს თვალების ელვარება, ჭაბუკის წკრიალა ხმა და ძლიერი რწმენა თავის საქმისადმი. ჩინებული ორატორი, მეტად ფრთხილი და თავდაჭერილი ლაპარაკში,—ბრანტინგი მარტო თავის სახით უნდა მოქმედებდეს ხალხზე: იგი ზორბა მოხუცია, მრისხანე, მხნე სახე აქვს და ნამდვილ სარდალს მოგაგონებთ.

## სპარსეთი

**მამედ-ალი.**

ამ ჟამად საბოლოოდ დასრულეს მოლაპარაკება შაჰის პენსიასა, ვალების გადახდასა და მამულებზე და შაჰად ნამყოფი მალე წავა რუსეთს. ამ მოლაპარაკებაში რუსეთის მთავრობაც ჩაერია; რადგან მამედ-ალის დიდი ვალი ჰმართებს რუსეთისა. მამედ-ალის რუსეთის საზღვრამდე ეხლებრა ყაზვინში მყოფ რუსის ჯარის რაზმი.

**ზილი-სალთანე,**

ინგლისისა და რუსეთის მთავრობები ძალას ატანენ სპარსეთის მთავრობას, რომ მან ნება მისცეს ზილი სალთანეს სპარსეთიდან საზღვარგარეთ წასვლისა. ზილი-სალთანე იმყოფება რუსეთისა და ინგლისის მფარველობის ქვეშ, დიპლომატთა წრეები ჰფიქრობენ, რომ ადვილად შესაძლებელია, ეს საქმე გამწვავდესო, რადგან თეირანის მთავრობას სწადიან მამულები შეუკრას ზილი-სალთანეს; სულ მისი მამულები დაფასებულია 100,000,000 მანეთზე მეტად: ამ მამულს წელიწადზე მეტია რუსეთის საელჩო უწევს მფარველობას.

**ახალი გაზეთი.**

თეირანში გამოვიდა პირველი ნომერი ახალ გაზეთისა, რომელსაც სახელად ჰქვიან: „ახალი ირანი“. გარეგნობით, თუ შინაარსით ეს გაზეთი სრულიად ჰგავს ევროპიულ გაზეთს მასში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო სპარსელი ჟურნალისტები.

მოწინავე წერილში რედაქცია ეხება სპარსეთის ეხლანდელ მდგომარეობას და ამტკიცებს რომ მამედ-ალი-შაჰის ტახტიდან ჩამოგდებით როდი შეიცვალა სპარსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილებაო. გაზეთი თხოულობს ყველა ძველ სახელმწიფო მოღვაწის გადაყენებას.

უცხოეთის პრესის ნარკვევში მოყვანილია „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტის ცნობა, რომ სპარსეთში ახალი საზოგადოება დაარსდა რუსთა და მუსულმანთა ერთმანეთთან დასაახლოვებლადო. გაზეთი თავის მხრივ ამბობს, რომ ესეთი საზოგადოება ჯერ არ დაარსებულა და შეუძლებელიცაა მისი დაარსება, სანამ რუსის ჯარი დგას სპარსეთშიო.

## ოსმალეთის ამბები

**დარდანელის სრუტის საქმე.**

ამას წინად სულთანმა ბრძანება გასცა, რომ ორი რუსის სამხედრო გემი, რომლებიც ახლდებიან რუსეთის იმპერატორის იახტას, გაატარონ დარდანელის სრუტეში. ამის თაობაზე ფრანგული გაზ. „სიეკლ“-ი შენიშნავს: სულთნის ბრძანება იმედს გვაძლევს, რომ თავის დროზე და შესაფერ პირობებში ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდება, რომ დარდანელის სრუტის საქმე რუსეთის სასარგებლოდ გადასწყდესო. ამასთანავე გაზეთი შენიშნავს, რომ მოლაპარაკება სრუტის საქმეზე რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის იზვოლსკის თაოსნობით დაიწყო, ამას გარდა ეხლანდელი ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ამ საქმესაო.

**კაპიტულაციის საქმე.**

პეტერბურგელ დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მთავრობა მომავალ შემოდგომაზე მოითხოვს კაპიტულიაციების გაუქმებას ოსმალეთის იმპერიაშიო; ესე იგი მოითხოვს, რომ ოსმალეთში გაუქმდეს განსაკუთრებული სასამართლოები უცხოელებისთვის და რომ ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელების საქმეებს სწყვეტდეს ოსმალეთის სასამართლოებიო. მცოდნე პირების აზრით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჟამად ვერ დაითანხმებს ამ საქმეზე ვერც ინგლისს, ვერც საფრანგეთს, ვერც რუსეთსაო, რადგან ეს სახელმწიფოები, გაჯავრებულები არიან ახალგაზრდა ოსმალებზე, რომლებმაც დიდი სიკერპე გამოიჩინეს კრიტეს საქმეშიო. პეტერბურგელი დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ჯერ ნაადრევია ამ საქმეზე ლაპარაკიო.

## ესპანია და მაროკო

ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი, რომელიც იმყოფება ესპანელების ბანაკში, მელილაში, დაწვრილებით აღწერს ესპანელთა გაჭირვებას. თავის წინანდელ წერილებში ამ კორესპონდენტმა ისეთი დიდი ცოდნა გამოიჩინა მაროკოს პირობებისა, რომ მი[illegible] უკანასკნელ დეპეშას ყველა[illegible] დიდი ყურადღება მიაქცია [illegible] პონდენტი [illegible] ჯარს მე[illegible] მაროკოში, [illegible], რომ მან ამ საქმის შესრულება შეიძლოსო.

მელილასა და მის მახლობელ სიმაგრების დასაცველად აუცილებლად საჭიროა 14 ათასი ჯარის კაცი; ამას გარდა საჭიროა 2,000 კაცი სურსათის საზიდად. ესპანიამ, კორესპონდენტის ანგარიშით, სულ ცოტა 30,000 ჯარის კაცი უნდა მოაგროვოს მაროკოში, თუ უნდა, რომ კაბილები განდევნოს ზღვის ნაპირებიდან. მაგრამ მამაცი კაბილები დაუყოვნებლივ შეერთდებიან სამხრეთში და ესპანელებს მოსვენებას არ მისცემენ. ხოლო თუ ესპანიის ჯარი გაილაშქრებს სამხრეთისკენ, მას ძლიერ გაუჭირდება სამხრეთ უდაბურ მთიან ადგილებში მოქმედება. ამ მთებში სრულებით არაა გზები; ესპანელებმა სურსათი და წყალიც-კი ხმელთა შუა ზღვის ნაპირებიდან უნდა უზიდონ ჯარსა. ამას გარდა ესპანელებს ძლიერ შეაწუხებს საშინელი სიცხე და მალე მათ ჯარში ავადმყოფი ჯარის კაცი მეტი იქნება, ვიდრე საღი.

ესპანიის ჯარის უფროსმა გენ. მარინამ მაინც გაბედა იერიშის მიტანა კაბილებზე. მთავრობა დიდის მოუთმენლობით მოელის ახალ ამბებს მაროკოდან, რადგან თუ ვინიცობაა ესპანიის ჯარი კიდევ დამარცხდება, მთელს ესპანიაში ხელახლად იფეთქებს რევოლიუცია.

## რუსეთი

**ცოლის გაყიდვა.** გაზეთ „რუსკ. ვედ.“-ში ვკითხულობთ: ამა წლის 27 ივლისს სოფელ დრაგომიროვკას სოფლის სამართველოში მოვიდნენ ამავე სოფლის გლეხები კ. ოლეინიკი და ი. ტიმჩენკო. მათთან მოეყვანათ რამდენიმე მოწამე. გლეხებმა, ოლეინიკმა სოფლის მწერალ ლუპანს გადასცა, ჩემი ცოლი ხარიტინა ტიმჩენკოს სამ მანეთად მივყიდე და ოქმი დაგვიწერეო. ლუპინს ეგონა, რომ გლეხები ხუმრობენო და ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ოლეინიკმა გადაჭრით მოსთხოვა ოქმის შედგენა, და ლუპინი იძულებული გახდა დაეწერა. ოქმი მამასახლისმა არ შეამოწმა. ოლეი-

---

დავრდა გულზე, მაგრამ სულ უბრალო შემთხვევა იყო საკმარისი— მეფანდურის სიმღერის გაგონება,— რომ გრძნობა მის გულში მთელის სიმწარითა და სიმწვავით აღუღებულიყო. „მის გულში **ამ ლექსებს საკმაო ნაღველი მოეგროვებინა და სავაგლახო დუმილით მოეცვა...** ამის შემდეგ ონისე ბინაში აღარ დაბრუნებულა, „მიჰხდომია ველთა რბენა“... „ათასში ერთხელ ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ველარავინ დაუახლოვდებოდა“...

არ შემიძლია არ განავგრძო ამოწერა. თავისის სიტყვით იმის გადმოცემა, რაც ძლევა-მოსილს ნიჭს შეუქმნია, შეუძლებელია. ეს მდიდარი ქვეყანა გრძნობისა, ეს დიადი უცნაური სურათი სურვათა სამეფოისა ისეთის შემოქმედისაგან არის ნაწარმოები, შექმნილი, რომ მარტო მისივე კალმის ნაწყვეტს შეუძლიან მოგვცეს წარმოდგენა ამ მომხიბლველ სამყაროს შესახებ. ძალა სიყვარულისა ესდენ საოცრად, ესდენ წარმტაცად, ძვირად თუ ვისმე აღუწერია. აქ რაღაც რუსთაველისებურია, აქ რაღაც ღვთაებრივია. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომელსაც დღევანდელი მწერლები გვიწერენ, რომელიც ტერმომეტრით და არშინით გამოზომილია, და სასწორზედ გირვანქით აწონილი. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომლის რეცეპტი ჯიბით დააქვს მიჯნურს და რომელსაც გულის-ძგერა წინ-და-წინვე დათვლილი აქვს და თავს ნებას არ მისცემს, საშუალო ზომიერებას გადააცილოს. მისმა გულმა გრძნობა იმდენზე უნდა გამოსცადოს, რომ ტერმომეტრმა აჩვენოს 36,06, მაჯა 70—76 მეტს არ უნდა სცემდეს და სხვა. ეს გრძნობა გრიგალის მსგავსია, მსგავსია საშინელის ღელვის, მიწისძვრის, წარღვნისა, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს, ვერ დაიკავებს და თავისს მონებს ისე ათამაშებს, რომელიც როგორც ბავშვი ტიკინს. აბა, უყურეთ ონისეს, ამ მოხევის ტყავში გახვეულს ველად გაჭრილს ტარიელს:

**ონისე სრულიად გაგარეულებული მთებში დადიოდა** და ძე **ხორციელს აღარ ეკარებოდა.** ყოველი მისი ფიქრი, ყოველი სურათი დაბადებული აღელვებულის ოცნებისაგან, ყოველი ამოსუნთქვა მაყვალას შეეხებოდა და იქამდის ტკბილი იყო, რომ გარეშე პირის მიკარება ცოდვად მიაჩნდა.

**მთელი სიცოცხლე მოხევისა ამ ქალზედ ფიქრად გადაქცეულიყო და როგორც** ძუნწს ეშინიან, რომ მის სიმდიდრეს სხვა პირი არ მიეკაროს, ისე ონისეც განზე გასულიყო და **მარტოდ-მარტო ხსნიდა გრძნობის კიდობანს, მარტოდ-მარტო უმოწმოდ იხედებოდა შიგა.** ყოველთვის, როდესაც კი **მოუვიდოდა ეინი მაყვალას დახაკუთრებისა,** ხან გამედგარებულის მრისხანებით, ხან წიავსავით ნაზის დაყვავებით შეეხებოდა სატრფოს“.

ასე განწყობილი ონისე ბუნებას მიჰმართავდა და მის სანახაობას დაამტერდებოდა.

მაგრამ ონისე იმ დროს სინამდვილეს ვერ ჰხედავდა, მისი გონება შორს, შორს გაფრენილიყო და თვალ წინ მხოლოდ მაყვალას სახე,—ხან გულკეთილ ანგელოზად, ხან გამედგრებულ უწყალო მაცდურად ეჩვენებოდა...

ხანდისხან ტკბილ ოცნებას, რომელიც მთელს მის არსებას ბედნიერებითა და სიხარულით ავსებდა, მოუწამლავდა უწყალო ეჭვი და მაშინ კი.

რაკი ამ საგანს შეეხებოდა, ეს ფიქრი იქამდის მძიმე ლოდათ დააწვებოდა მთელს მისს არსებას, რომ ველარ უძლებდა და მოდუნული, მთლად გასრესილი ბეჩავად ღონე მოკლებულად გამოიხედებოდა: თითქოს გველი შემოჰხვევიაო, იდუმალი ძალა ისე ღრღნიდა, გულს უხოკდა და სისხლსა სწოვდა.

ონისე თავს არავითარ გრძნობას არ დააჩაგვრინებდა, უბედურების წინაშე ქედს არ მოიდრეკდა, მას დედის ძუძუსთან შეწოვილი ჰქონდა, რომ „ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა“. იგი გმირულის სულის პატრონი იყო. არც მისი გრძნობა გახლდათ იმ თვისებისა, რომ ერთი ხელის გაქნევით ბუზივით აეფრინებინა და თავიდან მოეშორებინა. თვით გრძნობას ისეთი მძაფრი და საშინელი სახე მიეღო, რომ, ვისაც ის გაუჯდებოდა, არ მოასვენებდა, ვიდრე მის ლოგიკურ, კანონიერ დასკვნამდის არ მიიყვანდა. ხოლო ლოგიკა და კანონი დიდის გრძნობისა ბევრად განირჩევა ჩვენ ბეჩავ წვრიმალ კაცუნების ლოგიკისა და კანონისაგან.

წუთის დასუსტების შემდეგ—ონისე— ამაყად თავ-აღებული წამოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა: **„მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქმნეს!“** და ამ **სიტყვებში სჩანდა წარმოთქმული ძალა, ძალა შეუვენებული და შეუდრკენელი** [3])... აშკარა იყო, რომ **მის გრძნობას** გაბრძოლების დროს **წინ ვერაფერი გადუდგებოდა, ვერავითარი მოსაზრება ვერ შეაყენებდა და მის მოსპობას მხოლოდ ყველაფრის მომსპობელი სიკვდილი-ღა შესძლებდა.** არა, ღვთის მადლმა, მაყვალაუ!“ გაიძახოდა იგი—**თუ მე არა,** ცხოსაც ვერ ერგები!.. მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და **საუკუნოდ ჩემი ხარ.**

რაღა გასაკვირველია, თუ ეს ორი არსება, ერთის ენერგიით აღჭურვილი, ერთის გრძნობით გაცეცხლებული, მიისწრაფოდნენ ერთმანეთისაკენ, თავისდა შეუგნებლად, თითქმის თავისდა უნებურად. რაღაა აქ გასაკვირველი, თუ პირველისავე შეხვედრისთანავე ყოველივე კედელი დაიმტვრა მათ შორის, ერთიდან მეორემდის გაიბა განუწყვეტელი დენა ელექტრონისა და გაჩაღდა დიდებული ცეცხლი და ალი სიყვარულისა.

ონისე მაყვალას წისქვილში შეიჭრება. ქალს ეძინა...

სახე გაღიმებული ჰქონდა და ზედ რაღაცა სამაცდურო, მომხიბლავი ძალა დასთამაშებდა... ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დამშვენებულიყო და ციურ საჯოჯოხეთო მიმზიდველობა დასთამაშებდა... ონისეს აბრაზებდა **მისი ცქერა, გონებას აკარგვინებდა,** წარმოუთქმელს სატანჯველს აგრძნობინებდა, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა... ყმაწვილი **ბიჭი ჩასჩერებოდა, სთვრებოდა მისის ცქერით და რაღაც აუხსნელს ალტაცებაში შესულს მისი ჭვრეტა თანდათან მეტის ძალით სწყურდებოდა... ქალი ერთბაშად შეჰკრთა,** გაახილა თვალები და აშკარად დატყო, რომ ეს შეკრთომა შეშინებისა არ იყო, მის განძრევასთან ერთად ონისესაც თითქოს **გულში რაღამაც გაჰკრა,** ისიც შეჰკრთა, აღელდა და წარმოუთქმელის ძალით იგრძნო მასთან მიახლოვების, შეალერსების წადილი. (იქვე გვ. 110-111)

დაუკვირდით, როგორის ძალით სჩქეფს და გადმოდუღს მათში გრძნობა. ეს ორი ურთიერთის მიმზიდველი ბუნების საიდუმლო ძალა მიდის და მიილტვის ერთმანერთისაკენ და მას ვერავითარი დაბრკოლება, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს. ონისე და მაყვალა აქ სიმბოლიური ხატებაა, გრძნობის ორის ნაკადულისა, ორის მიმართულებისა, ორის დენისა.

კარი გაიღო, ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შევარდა ოთახში. „თვალებიდან ცეცხლებსა ჰყრიდა“. ქალს თავი დაეხარა, თვალები დაუშვა და „წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო“.

ორნივ ისე იდგნენ გახევებულის საგნებისავით, თითქოს მოძრაობის ნიჭიც კი დაეკარგათ. აქამდის ორნივ ისეთის ძალით მიიბრძოდნენ ერთიერთმანეთისაკენ, რომ ქვეყანაზედ თვით ძალა არ გაჩნდებოდა, რომელსაც მათი ერთმანერთისადმი ლტოლვილება შეეყენებინა და ეხლა კი, როდესაც ერთმანერთისაგან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ველარ გაებედათ. ონისე უყურებდა მაყვალას, რომელსაც აღშფოთების გამო საგულის შეკვრაც კი დაჰეწყებოდა და გაჩუმებული თითქოს ელოდა, ლაპარაკი ქალს დაეწყო... **მაყვალა ჰგრძნობდა კაცის თვალების ძალას, რომელიც მოუსვენრად უცვლიგებდა და აღშფოთებაში შეჰყვანდა; სიამოვნების ჟრიამულს უტარებდა** მთელს სხეულში და, **თუმცა თვალები დაშტერებული ეჭირა, გრძნობა მხედველობათ გარდაჰქცეოდა.**

ყოველივე სიტყვა აქ მეტია. აქ დუმილი, ის დუმილი, რომელზედაც მეტერლინკი ამბობს, ყოველივე დიდებულის მშობელიაო, მხოლოდ ამგვარ დუმილს შეუძლია გამოსახოს ყველაფერი. და აი სწორედ ორივე დუმილმა მოიცვა, ვიდრე მათ შორის არსებული ბრძოლა არ დამთავრდა და ონისემ არ იგრძნო, რომ იგი გამარჯვებულია, ეხლა მარტო სადღესასწაულო ტროფეები უნდა აეღო, ვითა ნაყოფი ხანგრძლივის და ბრწყინვალე გამარჯვებისა.

„ონისემ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში, იგრძნო—ბრძოლის ველი მასა რჩებოდა და სახე გამარჯვებულის ძლევა-მოსილობით გაუბრწყინდა... **„ჩვენის ნებით არ მომხდარა ეს და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებით“** გამოუცხადა გამარჯვებულმა დაპყრობილს. ქალი მთლად დაემონებია და დაეპყრო ვაჟის ძალას და „კაცის ყოველ სიტყვას, ყოველ ხმის მოტრიალების გავლენას აშკარადა ჰგრძნობდა. **ქალი სდნებოდა და ზედ ეგლისებოდა, უხმოდ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.** ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩაჰხედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა... [4])

დადგა დღე მათის სრულის ბედნიერებისა და ნეტარებისა. **ერთმანეთისთვის გაჩენილნი,** დიდის ლოდინის შემდეგ ერთად შეყრილიყვნენ და ეს მდგომარეობა **მეტად თავ-დამავიწყებელი იყო,** რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ. მაგრამ ცხოვრებაში სხვა ძალნიც არიან, რომელნიც სულ სხვა გზით მიდიან, რომელნიც სიკვდილსა და უბედურებასაც ემსახურებიან. საუკუნო ნეტარება ოცნებაშიაც არ არის. ვინ იცის, იქნებ ნეტარების გემოც მისთვისა აქვს, რომ იგი საუკუნო, სამარადისო არ არის. სამუდამოა ღორული განცხრომა. ცხოვრებით სრულიად კმაყოფილი ის არის, ვისაც მოთხოვნილება ბეჩავისა და უბადრუკის კაცისა აქვს, ვინც „სმა-ჭამასა“ სთვლის კაცის ცხოვრების მიზნად. ადამიანი-კი, რომელიც განიცდის სრულს ქარიშხალს ცხოვრებისას, მას ნეტარება და ტანჯვა არეული აქვს, სიამოვნება და სევდა შეზავებული აქვს და ეს არა თუ იმიტომ, რომ ტანჯვასა და ვაებას კაცი იძიებდეს,

---

[3]) იხ. „მეძღვარი“, გვ. 89, 90. ხაზი ყველგან ჩვენია. სტილი კი ყაზბეგისა, ხაშწუხაროდ და სავალალოდ.

[4]) იხ. „მეძღვარი“ გვ. 113—114.

ნიკმა და ტიმჩენკომ ამას ყურადღება არ მიაქციეს, მოაწერინეს მოწმეებს ხელი და სახლისკენ გასწიეს, რომ თავიანთი განზრახვა სისრულეში მოეყვანათ. ტიმჩენკომ ოლეინიკის სახლში მიიწვია პოლიციელი ნედოვზუ და ამ უკანასკნელის დახმარებით ოლეინიკის ცოლი ხარიტინამ სახლში წაიყვანა. თავის ცოლს თან გაჰყვა თვით ოლეინიკიც. ტიმჩენკომ სამ მანეთად ოლეინიკის ცოლს გარდა, წაიღო ხარიტინას მზითევი. ძველი სკივრი, ლოგინი, ტანისამოსი და სხვა."

✦ **ლოპუხინის გაგზავნა.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 12 აგვისტოს, ღამე, სრულიად მოულოდნელად და საჩქაროდ ლოპუხინი ვიატსქის მატარებლით ციმბირში გაგზავნეს. ლოპუხინს თან მისდევენ ცოლი და თავადი ურუსოვი.

✦ **საჩუქარი.** „ცნობილ" სარატოველ შავრაზმელ მღვდელ-მონოზონ ილიოდორესთვის ნიჟნი-ნოვგოროდელ ვაჭრის ცოლს კაშინას უჩუქებია საბუქსირო გემი.

✦ **ცემა ბოქაულის თანაშემწის ნებართვით.** ამ რამდენიმე თვის შემდეგ პეტერბურგის ერთ ბოქაულის თანაშემწემ ვინმე ქალ ალექსანდროვას ნება დართო ეცემა თავის ქალიშვილისთვის. ალექსანდროვამ თავის განზრახვა, საპოლიციო ნაწილის სადგომში მოიყვანა სისრულეში. ბოქაულის თანაშემწე კრიჟანოვსკიმ ალექსანდროვას არა თუ ნება დართო ექიმმა თავის ქალიშვილისთვის, „თანაშემწემ" 2 დარაჯიც (გოროდოვოი) კი მიუჩინა. ამის გამო პეტერბურგის ოლქის სასამართლომ კრიჟანოვსკის გადაუწყვიტა სამსახურიდან გადაყენება და სამი დღით დაპატიმრება. კრიჟანოვსკიმ საქმე პოლიციაში გადაიტანა. „რეჩი"-ს სიტყვით პალატას ეს საქმე ამ დღეებში გაურჩევია და კრიჟანოვსკი გაუმართლებია!!

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მოქმედებიდან.** „ნოვ. დნია"-ს სიტყვით „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" პეტერბურგში თავისი საკუთარი დამცველი პოლიციის განყოფილება ჰქონია. ამ დამცველ პოლიციას პროვინციებში განყოფილებები დაუარსებია. პროვინციის განყოფილებები მთავარ განყოფილებას ყოველ თვე ანგარიშებს უგზავნიან. ანგარიშებში, რა თქმა უნდა, ყველასა ხვდება, ვინც „კავშირს" არ თანაუგრძნობს და მთავრობის დიდ მოხელეებსაც. ამ ცნობებს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" დამცველი განყოფილება პოლიციის დეპარტამენტს უგზავნის.

✦ **საგენერალ-გუბერნატორის გაუქმება.** „რეჩი"-ს სიტყვით უმაღლეს მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია გააუქმოს ვილნოს საგენერალ-გუბერნატორო.

✦ **შუამდგომლობა.** ვოლგის მეგემეთა კავშირის საბჭოს გზათა მინისტრთან შუამდგომლობა აღუძრავს, გააუქმეთ ის განკარგულება, რომლითაც მეგემეები მოვალენი არიან გემებზე ექიმები იყოლიონო. თავის შუამდგომლობას საბჭო იმით ასაბუთებს, რომ მგზავრებს .. ექიმებისა ეშინიანთ და ამიტომ მგზავრთა რიცხვი კლებულობსო. დასაბუთებაც ასეთი უნდა!!

✦ **ბურცევი.** „ბილოეს" რედაქტორ ბურცევს „დეილი ნიუ."-ს კორესპონდენტისთვის შემდეგი გადაუცია: განზრახული მაქვს ამ მოკლე ხანში ჩემ მოგონებათა გარდა გამოვაქვეყნო სავინკოვის და ინჟენერ რუტენბერგის მოგონებანის. ამ უკანასკნელების მოგონებანი ნათელს მოჰფენენ გაპონის და აზეფის მოქმედებას. ამას გარდა მთავრობის სხვა მოქმედებასაც შეეხება, რასაც სისრულეში სახელმწიფო სათათბიროს და სესიის დაწყებისთანავე მოვიყვან". ამას გარდა ბურცევს განზრახული ჰქონია გამოაქვეყნოს ოფიციალური ქაღალდები, (დურნოვო და სტოლიპინის დრო) რომლებიდანაც სჩანს თუ რა პოლიტიკას ადგა მთავრობა ფინლიანდიის საქმეებში.

✦ **ლარიჩკინის დაპატიმრება.** „რეჩი" „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრის, გერცენშტეინის მკვლელის ლარიჩკინის დაპატიმრების შესახებ დამატებით ცნობებს გადმოგვცემს: ლარიჩკინს ეს 2 წელიწადია ეძებენ. ამ ხნის განმავლობაში ლარიჩკინი პეტერბურგში ჩამოდიოდა და აქ დიდ ხანს სცხოვრობდა. ამ დღეებში ერთ მუშას გაუგია, პეტერბურგში ჩამოვიდა მისი კარგი მეგობარი ლარიჩკინი და თავის ნათესავებთან სცხოვრობსო. 8 აგვისტოს მუშა წავიდა ლარიჩკინის ნათესავებთან, სადაც მართლა ნახა ლარიჩკინი, ლარიჩკინს თავის მეგობრისთვის შეუჩივლია, „კავშირის" წევრებმა სულ დამივიწყეს, დამპირდნენ დახმარებას გაგიწევთო, მაგრამ ეს რამდენიმე თვეა აღარაფერი მოუციათ და შიმშილით სიკვდილს ის ვარჩიე, რომ ფინლიანდიის მთავრობასთან გამოვცხადდე და ყველაფერი უამბო. ლარიჩკინის მეგობარმა ლარიჩკინს წინადადება მისცა, რახან აგრეა ეხლავე წავიდეთ ტერიოკშიო, როდესაც ლარიჩკინმა თანხმობა განაცხადა, გამოემშვიდობა ნათესავებს და თავის მეგობარს გაჰყვა. გზაში ლარიჩკინი სულ იმაზე ლაპარაკობდა, თუ რა ცუდად მოექცნენ მას „კავშირის" წევრები და სხვა. მან სხვათა შორის, სთქვა: კავშირს რამდენჯერმე უნდოდა ჩემი მოკვლა, ორჯერ კიდევაც მესროლეს და ერთხელ დამკრეს. ამან გამოიწვია ის ხმა, ვითომ მე მოვეკალით. ამაში ჩემი მშობლებიც დარწმუნებულნი იყვნენ. მე „კავშირის" ერთმა ცნობილმა წევრმა დამკრა და მას საზოგადოებაში დიდი ადგილი უჭირავსო. ღამე ლარიჩკინი და მისი მეგობარი ტერიოკში მივიდნენ და პოლიციაში გამოცხადნენ. პოლიციამ ყველაფერი ეს გამომძიებელს შეატყობინა. გამომძიებელი იმ ღამესვე მივიდა და ლარიჩკინს ჩვენება ჩამოართვა. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ლარიჩკინი ვიბორგის სატუსაღოში გაგზავნეს.

✦ **გარტინგ - ლანდეზენი.** „რუს. სლოვო"-ს დვინსკიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივ საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა ბიხოვსკიმ გადმოგვცა, უნივერსიტეტში გარტინგ-ლანდეზენთან ერთად ვსწავლობდით. გარტინგი ჯერ თავისუფალ მსმენელად იყო და შემდეგ ნამდვილ სტუდენტად ჩაეწერა. ამის გამო მას ეგზამენი უნდა ჩაებარებინა, მაგრამ გარტინგმა არაფერი იცოდა, ამიტომ ერთს სტუდენტს სამასი მანეთი მისცა და მან მის მაგივრად დაიჭირა ეგზამენი. ეს სტუდენტი ფიზიკაში ჩასჭრეს, გარტინგს არ უსრულდებოდა თავისი სურვილი, მან ხან ვის მიმართა, ხან ვის და როგორც იყო მიიღეს.

✦ **სამხედრო სამართალში მიცემა.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: საინტენდატსტვოს იმ მოხელეებს რომლებსაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ, სამხედრო სამართალში მისცემენ".

✦ **საერო განათლების მინისტრის განკარგულება.** საერო განათლების მინისტრს უნივერსიტეტის საბჭოებისთვის მიუწერია, რაც შეიძლება მოკლე ხანში სამინისტროში წარმოადგინეთ სტუდენტების სრული სიებიო.

✦ **დასავლეთ რუსეთის ძმობების კრება.** დეპეშიდან უკვე ვიცით, რომ ქალაქ ვილნოში დასავლეთ რუსეთის მართმადიდებელ ძმობების კრება მოხდა. ეს ძმობები იგივე „ჭეშმარიტ რუსთა კავშირია", მხოლოდ სხვა სახით. ძმობების ერთ კრებაზე „ცნობილ" შმიდტს (სახელმწიფო სათათბიროდან განდევნილს), სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: რევოლიუციის დროს ბევრი პარტიები მოქმედებდნენ, მაგრამ ეხლა მათი ნასახიც აღარ არის. ეგრედ წოდებულ რევოლიუციის შემდეგ პარტიების მაგიერ დაარსეს სხვა და სხვა საზოგადოებები. მერმე ძმობები, მხოლოდ ამ უკანასკნელებს შეუძლიანთ მართმადიდებლობის და თვითმპყრობელობის განმტკიცება... ოქტომბრისტები სამშობლოს გამყიდველები არიან. ერთ დროს მე თვითონ ვიყავი ოქტომბრისტი. ამ ხანებში გუჩკოვმა წერილი მომწერა და მირჩევდა პოლონელებთან შეკავშირებას განა შესაძლებელია ამაზე მეტი გამყიდველობა? მე ისეთი საბუთას ქაღალდები მაქვს, რომ მათი გამოქვეყნება გუჩკოვს ბევრ ვერაფერ კარგს მოუტანს!..

ვინ იცის რას არ დაროშავდა ეს პატრიოტი, რომელიც ერთხელ ციხის გვემის გაყიდვისთვის იყო სამართალში მიცემული, რომ თავმჯდომარეს არ გაეჩუმებინა და წინადადება არ მიეცა, კრების საგანს ნუ უხვევთო. შმიტტმა გაჩუმება არჩია. (რეჩი).

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, რეველში 1, სარატოვში 1, მოსკოვში 1, უფაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: სამარაში 1, სევასტოპოლში 2, ოდესაში 1, ვარშავაში 2 კაცი.

# უცხოეთი

**ჩინეთ-იაპონიის სამხედრო პირობა.**

ხარბინში ცნობა მიიღეს სარწმუნო წყაროდან, რომ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსა და იაპონიის მთავრობას ამ ჟამად გაძლიერებული მოლაპარაკება აქვთ გამართული ტელეგრაფით იმ საიდუმლო პირობის თაობაზე, რომელიც ვითომ ამ დღეებში შეკრეს იაპონიამ და ჩინეთმა იმ შემთხვევისთვის თუ აღმოსავლეთ აზიაში ომი დაიწყო.

ამასთანავე ჩინეთის მთავრობა განუწყვეტლივ აძლიერებს მეციხოვნე ჯარებს რუსეთის საზღვარს ახლო მდებარე ციხეებში. ასე, ცელიხში უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მოვიდა 3 პოლკი ქვეითა ჯარისა, და 6 როტა საველე არტილერიისა მუკდენის მეციხოვნე ჯარი, რომელსაც 15 ივლისს აქეთ 22 ათასი ჯარისკაცი მოუმატეს, წარსულ კვირის გასულს კიდევ გააძლიერეს 19 ცხენოსან ესკადრონით და 23 სამთო ბატარეით. მთელი მანჯურია გაავსეს ჯარით („რ").

**სამხრეთ-აფრიკის კავშირი.**

„სამხრეთ-აფრიკის კავშირი", როგორც ვიცით, შესდგება ოთხის წილისაგან: ტრანსვაალისა, ორანჟეს კოლონიისა, ნატალისა და კაპის კოლონიისგან. ეს ახალი სახელმწიფო სივრცით აღემატება ავსტრიასა და გერმანიას ერთად. მისი მთავრობა შესდგება გენერალ გუბერნატორისაგან, რომელსაც ინგლისის მეფე დანიშნავს, ქვედა პალატისა და სენატისაგან. სენატი შესდგება 50 წევრისგან; ქვედა პალატას ეყოლება 121 დეპუტატი: 51 კაპის კოლონიიდან, 36 ტრანსვაალიდან, 17 ნატალიდან და 17 ორანჟეს კოლონიიდან.

ხალხის წარმომადგენლები არჩეულ იქნებიან 5 წლით. საფინანსო და გადასახადების საქმეს გადასწყვეტს ქვედა პალატა, სენატს არა აქვს უფლება რაიმე ცვლილება მოახდინოს ქვედა პალატის დადგენილებაში. თუ ორსავ პალატას შორის, რაიმე უთანხმოება მოხდება გუბერნატორი პალატების შეერთებულ სხდომას მოახდენს და სადავო საკითხს პალატები ხმას უმეტესობით გადასწყვეტენ. საარჩევნო უფლება აქვთ მხოლოდ თეთრ ხალხს, ანუ ევროპიელთა ჩამომავლებს. შავ ხალხს, ანუ ზანგებს, მხოლოდ კაპის კოლონიაში აქვთ მიცემული საარჩევნო უფლება, მაგრამ დეპუტატებად იქაც უთუოდ თეთრები უნდა აირჩიონ.

ახალ სახელმწიფოს მთავრობას ბინა ექნება ტრანსვაალის სატახტო ქალაქ პრეტორიაში, პარლამენტს— კაპის კოლონიის სატახტო ქალ. კაპშტადტში, ხოლო უმაღლეს სასამართლოს—ორანჟეს კოლონიის სატახტო ქალ. ბლუმფონტეინში.

კავშირის შემოსავალ-გასავლის საქმეს, პირდაპირ გადასახადების გარდა, განაგებს კავშირისავე მთავრობა. კოლონიების წინანდელი შინაგანი საბუთები უქმდება. რკინის გზები გადადის კავშირის ხელში, მხოლოდ კავშირი თავის თავზე კისრულობს კოლონიების ვალის ნაწილს. ინგლისურს და ჰოლანდიურს ენას (ბურების ენა) თანასწორი უფლება ექნებათ. წინანდელი კოლონიები ჩაირიცხებიან ახალ კავშირის პროვინციებად. ადგილობრივ საკითხების გადასაწყვეტად და პირდაპირ გადასახადების პატრონად პროვინციებში დაწესებულია პროვინციალური წარმომადგენლობითი დაწესებულებანი.. სამხრეთ აფრიკის კავშირის მცხოვრებთა რიცხვი ადის— 5,400,000-მდე, მათგან 1,120,000 თეთრია, დანარჩენნი ზანგი.

**საიდუმლო მოლაპარაკება გერმანიასა და რუსეთს შორის.**

როგორც უკვე მოგეხსენებათ, ამას წინად რუსებმა გერმანიის საზღვარზე ახლო თოფი დაუშინეს გერმანელთა ჰაეროსტატს, რომელიც რუსეთის სამფლობელოში გადმოფრენილიყო. ამ ინციდენტის თაობაზე ამ ჟამად საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკებაა გამართული რუსეთსა და გერმანიას შორის. რუსეთის სამხედრო მინისტრის ბრძანებით ეს საქმე მაშინვე გამოიძიეს, მაგრამ გამოძიების შედეგს მეტად საიდუმლოდ ინახვენ.

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებად.**

ჩვენმა რედაქციამ ნინოშვილის ძეგლისთვის მიიღო 7 მ. 35 კ. რკინის გზის სახელოსნოს საქვაბო განყოფილებაში შეკრებილი, სოლომონ დოლიძის მიერ წარმოდგენილი. შემომწირველთა სია:

სოლომონ დოლიძე 50 კ., გიორგი იმერლიშვილი—30 კ., პავ. პოლოსოვი 20 კ., ნეოფიტე ენუქიძე 25 კ., იპოლიტე ტოროშელიძე 40 კ., იოსებ კვიწინაძე 25 კ., ფიდო არჩუაძე 40 კ., იოსებ ბოტკოველი 30 კ., ერისტო კოსტავა 30 კ., ილია მარგველაშვილი 50 კ., მიხეილ ცომაია 25 კ., მიხა იაშვილი 30 კ., სანდრო ბედუკაძე 50 კ., სევერიან ფოცხვერია 20 კ., ვანო სეფისკვერაძე 20 კ., ლევან ცხვარაძე 10 კ., სიმონ მაისურაძე 20 კ., კოლა კარეცკი 40 კ., დავით მაისურაძე 10 კ., ილია ვაშაკიძე 10 კ., მოსე შოშიტაშვილი 20 კ., მიხაკო ცინცაძე 25 კ., ნიკიფო ბურჭულაძე 20 კ., მათე ბეკაური 25 კ., მიხა კოპალეიშვილი 10 კ., ნიკო ბურჭულაძე 20 კ., იაკინთე ფრანგიშვილი 20 კ., ანტონ კაციტაძე 20 კ.

ანა და **უნდა ელტვოდეს** სრულიადაც არა. პირიქით, ადამიანის ბუნება ისევე გაურბის სევდა-მწუხარებას, როგორც ავადმყოფობას, შიმშილს, წყურვილს და **უნდა იბრძოდეს** ტანჯვის წინააღმდეგ ისე, როგორც შავს ჭირისა, გინდ ხოლერისა, მაგრამ გარეშე კაცის ნებისა, მოქმედებენ „ძალნი", რომელნიც მის ცხოვრებას ასე თუ ისე ათამაშებენ. კაცი კი იბრძვის, შრომობს და ილვწის, რომ თავიდან მოიშოროს ბოროტი ძალები, ხოლო კეთილი კი თავის და სასარგებლოდ გამოიყენოს. ბუნებრივის ფატალურის ძალების გარდა, რომელიც გარეშე კაცის ნებისა მოქმედებენ, თვით საზოგადოების მახინჯმა წყობილებამ კაცს აღუმართა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი ბედნიერების გზაზე. კაცის სულიერი და ხორციელი თავისუფლება, მისი არსებითის სურვილების და მისწრაფების განხორციელება ესოდენ შებოჭილი და შებორკილია, რომ პირადობა მთლად მომხჩვალია ამ მოხუთულ ატმოსფერაში. კაცთა შორის კავშირს ერთად-ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს—ეს ის, რომ თავი დაიცვას ბუნების იდუმალ ბოროტის ძალებისაგან, ბრძოლა გაუწიოს მთლად ერთიანად მთელს მსოფლიოს და თავისი უპირატესობა განამტკიცოს მსოფლიოში.

დღევანდელი საზოგადო წეს-წყობილება კი სულ სხვას ემსახურება. იგი ზნეობრივად და გონებრივად, ფიზიკურადა და სულიერად დუხჭირთა და გაკოტრებულთა სასამსახუროდ გარდაქმნილა და ებრძვის და იმონებს უმეტეს ნაწილს კაცობრიობისას, რომელსაც ათასჯერ უფრო მეტი უფლება აქვს სიცოცხლისა და თავისუფლად ცხოვრებისა. აბა, რა უნდოდა საზოგადოებას, თემს ონისესთან? არა, რითი არის დანაშაული ვისმესთან ონისე და მაყვალა? ნუ თუ კანონიერება, ბუნებრივობა და, მაშასადამე, წესიერება იმას არა თხოულობენ, რომ ეს ორი არსება, ამ დიადის გრძნობის ჭურჭლად გაღიქცეულნი, ერთი მეორეს საკუთრება ყოფილიყო? ნუ თუ ის კაცი, რომელიც „**მაყვალას დასაკუთრებისათვის, შერჩენისათვის მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირვებოდა, წუთს არ შედგებოდა, დაუვაჭრებლად მისცემდა**", ნუ თუ ეს კაცი ღირსი არ იყო მაყვალასი, ნუ თუ მარტო და მხოლოდ ამ კაცს არ ეკუთვნოდა მაყვალა? მაშინ როდესაც თვით მაყვალაც ამ გრძნობას დამონებოდა მთლად და უშიშრად, თამამად გაიძახოდა, მე მინდა ონისესთან **შეერთება, იმიტომ რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარსო**. ნუ თუ ვისმე ჰქონდა ნება, მათ გრძნობაში გარეოდა, ნუ თუ ან თემს, ან დედას, ან მამას, ან ქმარს ნება ჰქონდა ხელი შეეშალა იმ უმწვერვალესის ნეტარებისათვის, რომლისაკენაც მიისწრაფოდა მათი მშვენიერი სული და ხორცი? ან კი რა გამოვიდოდა ამ წინააღმდეგობიდან, თუ არ გაცამტვერება ამ ადამიანთა სიცოცხლისა, მათის ცხოვრების დასახიჩრება, მათის ბედნიერ არსებობის დამხობა და დაღუპვა! მაგრამ საზოგადოება მახინჯ პრინციპზე აგებული, დამპალის ზნეობის მოსარჩლე, თემია იგი თუ ინგლისის „ჰაილაიფი", სულ ერთია, იგი იცავს ანტიბუნებრივს კანონს და უიმისოდაც ათასგვარად ბუნების ძალებისაგან განაწამებს ადამიანს სულს უხუთავს. ეს დარგი მოვლენათა—ქალ-ვაჟთა ურთიერთ შორის კავშირი—იმდენად ინტიმურია, იმდენად ინდივიდუალური რამ არის, რომ ამაში გარევის ნება არავის არ უნდა ჰქონდეს, მას უნდა აწესრიგებდეს ბუნება და ბუნებავე უნდა უდებდეს მას საზღვარსა და კანონს.

**კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება)


# განცხადებანი

მეფრინველეობა

**ი. ა. ისარლოვისა.**

ქ. ტფილისი, კოლონიის ქ. N 7, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს.

(დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით).

ჰყავს რუსული იხვის ჭუკები, ქათმის წიწილები სხვა და სხვა ჯიშისა. (8—1012—3)

# ქუთაისში

30 ივლისს საღამოს 6 საათიდან დაიკარგა ნიკოლოზ ანდრიას ძე გალოევის მოსამსახურე ქალი ლასიანა სეხნიას ასული **რამიშვილი** (გურულია). მნახველს ვთხოვთ, შეგვატყობინოს: ორპირის ქ. საკუთარი სახლი. **ნიკოლოზ გალოევი.** (3—კვ.—2)

**მეორე** საკომერციო სასწავლებელი კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებისა.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 31 აგვისტოს. **ორ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უეგზამენოდ მიიღებიან მეოთხე კლასში.**

სწავლის ფული წელიწადში 80 მანეთი. დროებით ადრესი: 1 თუმანოვის ქ. № 13. (4—413—3)

**დაიბეჭდა** ქართული პიესები: „**უშნო არშიყი**", კომ. 3 მოქმ., „**სოფიო**", ვოდევ. 1 მოქმ., „**დუქნის ოთახში**", სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტანდილთან სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—10)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

**საკომერციო ცოდნათა კურსები**

**ტ. მ. ფილოიანისა.**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს. ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის.

პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—2)

**გამოვიდა ჟურნალი**

# „რუსსკაია მისლი"

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

აგვისტოს (მერვე) ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. ლექსები. ა. გერციკისა და ბირის სადოვსკისა; 2. „მკვდარი ტალღა", რომანი ღ. მირტოვისა; 3, „ჟუმბარა", ედმონდ აროკურისა, ფრანგულიდან ნათარგმნი რ. ი—სა; 4. „Wita Somnium breve", რომანი რიკარდ გუხისა, თარგმანი გერმანულიდან ნ ე. ზ. ხოხლოვის მიერ; 5. „დათვი პამფიმელი", ზღაპარი ოლგა ფორშისა; 6. „იღბლიანი პერი", რომანი ჰენრიკე პონტოპიდანისა, თარგმანი დანიურიდან მ. ბ. ბლაგოვეშჩენსკისა (გაგრძელება); 7. „ბაკუნინების ოჯახობა", ჯერ გამოუცემელ მასალების მიხედვით, ა. ა. კორნილოვისა; 8. მოკლე ისტორიული მიმოხილვა ქიმიურ მეტეორის შესახებ ცოდნათა, ევ. ა. კაბლუკოვისა; 9. ახალი შრომა დეკაბრისტების შესახებ, მ. ლ. ვიშნიცევისა; 10. შვეიცარიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათაგან, კ. ნ. სოკოლოვისა; 11. ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, როგორც თავის მუსიკალურ მოღვაწეობის მემატიანე, გრიგოლ ტიმოფეევისა; 12. წერილი იტალიიდან, გადასახლება (ემიგრაცია), პეტრე რისისა; 13. „მეგობრები თუ მტრები", დ. ვ. ფილოსოფოვისა; 14. „სარწმუნოება და სოციალიზმი", პეტრე სტრუვესი; 15. შინაურ ცხოვრების მიმდინარე საკითხები: ა) მუშათა დაზღვევა და მთავრობის კანონპროექტები, სევერიანინისა; ბ) კარგი ცდა თავისუფალ დახმარებისა ქალაქის საქმეთა მოსაწესრიგებლად, ზაქ. ფრენკელისა; 16. წერილი საფრანგეთიდან, მუდმივი კითხვა, ა. მჩეპეტოვისა; 17. უცხოეთის პოლიტიკა, ლ. ი. გოლშტეინისა; 18. ბიბლიოგრაფიული განყოფილება; 19. განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისთვის.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | ერთი წლით. | 9 თვით. | 6 თვით. | 3 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|
| გაგზავნით | 12 მან. | 9 მან. | 6 მან. | 3 მან. | 1 მ. |
| საზღვარ-გარედ. | 14 | 10 მ. 50 კ. | 7 „ | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ადრესის გამოსაცვლელად 30 კაპ., ქალაქიდან სხვა ქალაქში—55 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვში—ჟურნალის კანტორაში, ს.-პეტერბურგში, ვილნოში და ვარშავაში—კარბასნიკოვის წიგნის მაღაზიაში; კიევში—ოგლობლინისა და სოკოლოვსკის წიგნის მაღაზიებში; ოდესაში—წიგნების მაღაზია „ტრუდში" და „ოდესის ნოვოსტის" მაღაზიაში, სარატოვში—„ნოვ. ვრემ."-ას წიგნის მაღაზიაში, ბაქოში—სუნდუკიანცის წიგნის მაღ. „სოტრუდნიკ."-ში.

წიგნების საწყობი „რუსკაია მისლ".

„მოსკოვის ყოველკვირეულ და „რუსკ. მისლზე" ერთდროულად ხელის მოწერის ფასი ღირს: 1 წლით 15 მან., 17 მანეთის ნაცვლად; 6 თვით 8 მან., 9 მანეთის ნაცვლად; 3 თვით—4 მანეთი 4 მ. 50 კაპიკის ნაცვლად.

წიგნის მაღაზიებში ერთ დროული ხელის მოწერა არ მიიღება, არც ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანა შეიძლება.

**ახალი წიგნები, ჟურნ. „რუსკაია მისლი"-ს მიერ გამოცემული:**

1. ა. კორნილოვი—„საზოგადოებრივი მოძრაობა ალექსანდრე II დროს". ფ. 1 მ. 25 კ.
2. ზ. ფრენკელი—„ხოლერა და ჩვენი ქალაქები" ფ. 15 კაპ.




ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის

# მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „**სისტემა ზინგერ**"-ზე. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, კარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б—64)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აბლაძე.**